

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა
აკადემია

Академия наук туризма Грузии
Tourism Scientific Academy of Georgia

ISSN 1987 – 6831

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL



პროფესიონალის ხმა
ГОЛОС ПРОФЕССИОНАЛА
PROFESSIONAL`S VOICE

№ 1-2 (12)

2018

ქუთაისი КУТАИСИ KUTAISI

**საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა
აკადემია**

**Академия наук туризма Грузии
Tourism Scientific Academy of Georgia**

**პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL**

**პროფესიონალის ხმა
ГОЛОС ПРОФЕССИОНАЛА
PROFESSIONAL`S VOICE**

№ 1-2 (12)

2018

ქუთაისი КУТАИСИ KUTAISI

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემია

Академия наук туризма Грузии

Tourism Scientific Academy of Georgia

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „პროფესიონალის ხმა“ დაფუძნდა 2013 წლის 1 ნოემბერს. იგი წარმოადგენს საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის პერიოდულ სამეცნიერო გამოცემას და იბეჭდება ამავე აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით. გამოდის 2013 წლის დეკემბრიდან. ჟურნალში ქვეყნდება ექსპერიმენტული, თეორიული და პრაქტიკული ხასიათის სამეცნიერო შრომები პედაგოგიკის, ისტორიის, ფილოლოგიის, მედიცინის, ეკონომიკის, ეკოლოგიის, სამართალმცოდნეობის, ფიზიკა-მათემატიკის, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის სფეროში. ჟურნალს მინიჭებული აქვს სერიული გამოცემების საერთაშორისო სტანდარტული ნომერი (ISSN). ჟურნალი რეფერირებულია საქართველოს ტექნიკური ინფორმაციის ქართულ რეფერატულ ჟურნალში.

Периодический научный журнал «Голос профессионала» учрежден 1 ноября 2013 года. Он является периодическим научным изданием Академии наук туризма Грузии и печатается по решению президиума Академии. Выходит с декабря 2013 года. В журнале публикуются экспериментальные, теоретические и практические научные труды в сфере педагогики, истории, филологии, медицины, экономики, экологии, правоведения, физики, математики, культуры, спорта и туризма. Журналу присвоен Международный стандартный номер серийных изданий (ISSN). Журнал реферирован в грузинском реферативном журнале технической информации Грузии.

Periodical Scientific Journal "Professional's Voice" was established on November 1st, 2013. Representing periodical scientific edition of Tourism Scientific Academy of Georgia it is being published under the resolution of the Academy. Is periodically issued since 2013. Different kinds of scientific works and researches such as experimental, theoretical and practical ones in the fields of Pedagogics, History, Philology, Medicine, Economics, Ecology, Law, Physics, Mathematics, Sports and Tourism are being represented. The journal has been awarded the international Standard Serial Number (ISSN) and has been refereed in the review journal of technical information of Georgia.

ჟურნალი გამოდის საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით.

სარედაქციო კოლეგია

ომარ ცხადაძე - პროფესორი /თავმჯდომარე/
ელიშვიტა ცხადაძე - პროფესორი
სერგეი ხრიპკო - პროფესორი /უკრაინა/
დარია ჯუსუპოვა - პროფესორი /ყაზახეთი/
ვლადიმერ შვირავა - პროფესორი
ომარ მინდაძე - პროფესორი
ელენე ტროხიმეცი - პროფესორი /უკრაინა
მთავარი რედაქტორი – **ომარ ცხადაძე**
რედაქტორი - **ლიანა ლორია**
პასუხისმგებელი მდივანი - **ლუარა გოგობერიძე**
კორექტორი - **ვლადიმერ ცხადაძე, შორენა სიხარულიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა - **ნონა კვიციანიძე**

**ЖУРНАЛ ИЗДАЕТСЯ ПО РЕШЕНИЮ ПРЕЗИДИУМА
АКАДЕМИИ НАУК ТУРИЗМА ГРУЗИИ
РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:**

ОМАР ЦХАДАДЗЕ – профессор (председатель)
ЭДИШЕР ЦХАДАДЗЕ – профессор
СЕРГЕЙ ХРИПКО – профессор (Украина)
ДАРИЯ ДЖУСУПОВА – профессор (Казахстан)
ВЛАДИМИР ЦВЕРАВА – профессор
ОМАР МИНДАДЗЕ – профессор
ЕЛЕНА ТРОХИМЕЦ – профессор (Украина)
Гл.Редактор - **ОМАР ЦХАДАДЗЕ**
Редактор - **ЛИАНА ЛОРИЯ**
Ответств.секр. - **ЛУАРА ГОГОБЕРИДЗЕ**
Корректоры - **ВЛАДИМИР ЦХАДАДЗЕ, ШОРЕНА СИХАРУЛИДЗЕ**
Комп. обесп. - **НОНА КВЕРНАДЗЕ**

**JOURNAL ISSUED UNDER THE RESOLUTION OF THE PRESIDUM
OF TOURISM SCIENTIFIC ACADEMY OF GEORGIA**

EDITORIAL BOARD:

OMAR TSKHADADZE – professor (chairman),
EDISHER TSKHADADZE – professor,
SERGEI KHRIPKO – professor (Ukraine),
DARIYA JUSSUPOVA – professor (Kazakhstan),
VLADIMIR TSVERAVA – professor,
OMAR MINDADZE – professor,
ELENA TROKHIMETS – professor (Ukraine).
Editor-in-chief - OMARI TSKHADADZE
Editor - LIANA LORIA
Executive secretary - LUARA GOGOBERIDZE
Proofreaders - VLADIMIR TSKHADADZE, SHORENA SIKHARULIDZE
Comp.suppl. - NONA KVERNADZE

შორენა სინარულიძე - საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

ლიანა ლორია - საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორი, საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ასტრალური სიმბოლიკა „ვეფხისტყაოსანში“

„ვეფხისტყაოსანი“-ის პოეტური ძეგლია, რომელშიც უხვადაა გამოყენებული მეტაფორა თუ შედარება, რითმა თუ რიტმი, ჰიპერბოლა თუ ალეგორია, ეპითეტი თუ ხატოვანი თქმა. ყველა ეს პოემის ის მარგალიტებია, რომელთა ბრწყინვალეობა იმთავითვე გასცდა ქართული ცის კაზადონს და მსოფლიო ცის ტატნობზე დაიდო ბინა. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი პოეტური სამკაულების მდიდარ საგანძურს ფლობს და კონკრეტული ესთეტიკური მიზნებით ანაწილებს მათ.

შ. რუსთაველის პოეტურ ენაში განსაკუთრებული ჟღერადობა აქვს მის შეხედულებებს ციურ სხეულებზე. ამ საკითხებისადმი დამოკიდებულება სულ უფრო საცნაურს ხდის ავტორის განსწავლულობის ხარისხს, მის წვდომას მსოფლიოს ცივილურ მიღწევებში, იმ ფართო დიაპაზონს, რომელიც ასე თვალნათლივ იკვეთება რუსთაველურ შაირში.

„ვეფხისტყაოსნის“ ფერწერა იმაში, რაც გმირთა განცდის ცვალებადობას შეეხება, ხშირად დამყარებულია ასტრალურ წარმოდგენათა ვარიანტზე. ასტრალური სახე დიფერენცირებულადაა წარმოდგენილი პოემაში, იმის მიხედვით, თუ რა კონკრეტულ ამოცანას ისახავს პოეტი.

ასტრალურ სიმბოლიკას „ვეფხისტყაოსანში“ მხატვრული დატვირთვა აქვს. რუსთაველი ხშირად იყენებს მზეს, მთვარეს, ციურ სხეულებს პერსონაჟთა სახეების გადმოსაცემად. პოეტის მხატვრული სამყარო ზღვარდაუდებელია, მისი ხედვა სცილდება უბრალო ადამიანურს და ზეციურში მკვიდრდება. პოეტი იდეალურ გმირებს უხვ ფერთა გამაში ახვევს, მხურვალე მზესა და მილეულ მთვარეს ამსგავსებს, ციურ მნათობებთან უდებს წილს. „...აჰა, მზეო, ხათგან

დმერთმა მზედ დაგბადა, მით გმორჩილებს, ზეციური მნათობი, რაცა სადა" (2) სხვაგან რუსთაველი გვეუბნება: „თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინებდა" (2). ქალის ტახტზე აყვანის მომენტში, როსტევენი სიამაყით აცხადებს:

„თინათინ ჩემი ხელმწიფედ დავსვი მე, მისმან მშობელმან, მან განანათლეს ყოველნი, ვით მზემან მანათობელმან" (2)

პოეტი ასტრალური სიმბოლიკებით ხშირად სტატიკურ სილამაზეს გადმოგვცემს, მაგრამ არც თუ იშვითად, იგი მას განცდის დინამიკის დასახატავად იყენებს. ასეთ შემთხვევაში „პოეტი კმაყოფილდება ისევ ციურ სხეულთა, ოღონდ არა უცვლელ არამედ მოძრავ ცვალებადობის პროცესში მყოფ სხეულთა სახეების მოშველიებით" (1)

პოემაში გვხვდება გალუული და უკვე ჩასაქრობად განწირული მთვარე, რომელიც მწუხარების სიმბოლური ნიშანია, დიდ სიხარულზე კი სავსე მთვარის სიმბოლიკა მიგვანიშნებს. „ასტრალური მოვლენა არა მარტო გარეგნულად ემსგავსება ადამიანურ განცდებს, არამედ პოეტი მასში „შინაგან კავშირს ეძებს და ფსიქოლოგიურ დასაბუთებაზე აყრდნობს მის მიერ წარმოდგენილ მხატვრულ სურათს (1)

ასტრალური სახეა გამოყენებული ნესტანის ქაჯთა ტყვეობიდან დახსნის შემთხვევაშიც. მოცემულ მომენტში გადმოცემულია ბოროტების დამარცხება, სიკეთის გამარჯვება უკეთურობაზე. პოეტი ამ სცენას ასე გამოხატავს:

„მზე მოგვეახლა უკუნი ჩვენთვის აღარა ბნელია,
ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია" (2)

მთლიანად ასტრალური სიმბოლიკებითაა გაჯერებული ფრიდონთან მიმავალი ავთანდილის საუბარი ციურ სხეულებთან ავთანდილი მძიმე სულიერ განცდებს უზიარებს ციურ სხეულებს: მზეს, მთვარეს და ხუთივე ცდომილს.

პოეტი იცნობს თითოეული მათგანის ასტრალურ მნიშვნელობას და მათ უკავშირებს ავთანდილის სულიერ განწყობილებას.

მოგზაურობის დროს, მარტოდმსბროლი ავთანდილი ესიტყვება ციურ სხეულებს. მისი პირველი ადრესატი, ღვთის ხატი, მძლეობა მძლე მნათობი, მზე არის. სწორედ მასში ჭკრეტს გმირი სატრფოს სახეს, მიჯნურის ტოლფასი მნათობი ავთანდილში ლხენისა და სიხარულის გრძნობას იწვევს: „ხელსა მალხენს ნახვა შენი, ამაღ გამზერ არ დამცდარად" (2). რაინდი ევედრება მნათობს: ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა. შემდეგ ავთანდილი ზუალს (სატურნი), მწუხარებისა და სევდის მნათობს მიმართავს და მას სატრფოსთან მოციქულობას სთხოვს: „მას უთხარ თუ: „ნუ გასწირავ, შენია და შენთვის ტირსა" (2) მუშთარს (იუპიტერი) სიმართლის გამგებელ-მნათობს, ავთანდილი განკითხვას ევედრება: „მო და უყავ სამართალი, გაებრჭობის გული ფიცსა, მართალი ვარ, გამიკითხე! რად მაწყლულებ მისთვის წლულსა?" (2) ლახვრით დასაჭრელადაც კი უხმობს ავთანდილი მარისხს (მარსი) მესისხლე და კაცთა შორის შურის გამრიგე მნათობს, ოღონდ თინათინამდე მიაწვდინოს მისი სურვილი: „მას უთხრენ ჩემნი პატიჟნი, მას გააგონენ ენითა (2).

ნუგეშისცემას ეძიებს ავთანდილი ასპარიოზში (ვენერა) მკურნალის თვისებებით აღჭურვილი მნათობში: შენ დააშვენებ კეკლუცთა, დაშვენებთა მაგითა, ვისმეს, გლახ, ჩემებრ დააგდებ, გაჰხდი ცნობითა შმაგითა" (2) „დაჯე წერად ჭირთა ჩემთა, ასეთია რაინდის მიმართვა ოტარიდის (მერკური) მწიგნობრობისა და ცოდნის მნათობისადმი, და მას მელნად ცრემლს, კალმად კი ტანს სთავაზობს.

„... მელნად მოგცემ ცრემლთა ტბასა,

კალმად გიკვეთ გაწლობილსა, ტანსა ჩემსა, ვითა თმასა".

„მნათობთა გასულიერება აქ, შენიშნავს ს. ცაიშვილი, თავისთავად ქმნის ბუნების მშვენიერების განცდას და ამავე დროს მათ ადამიანის ბედის მონაწილედ წარმოადგენს, რითაც ირღვევა ადამიანური შეზღუდულობის ვიწრო არეებიც" (1).

ასეთია „ვეფხისტყაოსანში" გამოყენებული ასტრალური სიმბოლიკის ზოგადი მიმოხილვა. ამ პოეტური ხერხის ასე ოსტატურად გამოყენება ჩვენი აზრით, პოემას სძენს დამატებით ღირებულებას. იგი ნათელყოფაა იმისა, რომ ჯერ კიდევ XI და XII საუკუნეებში,

და გაცილები უფრო ადრეც, საქართველოში მაღალ დონეზე იდგა ასტროლოგიური მეცნიერება. მთელი სისავსით იყო შეცნობილი სამყარო და ციური სხეულები მათი სიდიადითა და იდუმალებით, სიტყვის ვირტუოზები კი ამ დიდ ცოდნას პოეტურ მარგალიტებად გარდაქმნიდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სარგის ციაშვილი „ნარკვევები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1974წ. გვ. 53.57.58.5

2. შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, სასკოლო გამოცემა, თბილისი, 2006წ. სტროფები: 52, 44, 690, 693, 840, 848, 964, 966, 967, 968, 969, 971, 972, 973

შორენა სიხარულიძე, საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

ლიანა ლორია, საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორი, საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ასტრალური სიმბოლიკა „ვეფხისტყაოსანში“

რეზიუმე

სტატიაში, ტექსტსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, წარმოდგენილია „ვეფხისტყაოსნის“ ასტრალური სამყარო და მის ფონზე განხილულია ამ სიმბოლიკით დატვირთული ეპიზოდები.

Шорена Сихарулидзе, член Академии наук туризма Грузии,
Лиана Лория, проректор учебного университета Академии наук туризма
Грузии, академик Академии наук туризма Грузии

Астралитические символы в „Витязе в тигровой шкуре“

Резюме

В статье на основании текста и научной литературы представлена в „Витяз в тигровой шкуре“ астралитический мир и на его фоне обсуждено в этой символные эпизоды.

Shorena Sikharulidze, member of the Georgian Academy of Tourism Sciences,

Liana Loria, vice-rector of the training university of the Georgian Academy of Tourism, academician of the Georgian Academy of Tourism Sciences

The astralitic symbol in "The Knight in the Panther's Skin"

Summary

The article is based on the text and scientific literature presented in "The Knight in the Tiger's Skin" astralight world and against its background is discussed in this symbolic episodes.

Лиана Лория
ГЛОБАЛИЗАЦИЯ И ПОЭМА ШОТА РУСТАВЕЛИ
«ВИТЯЗЬ В ТИГРОВОЙ ШКУРЕ»

Поэма Шота Руставели «Витязь в тигровой шкуре» отличается сложным многоаспектным содержанием. Она по праву считается национальным достоянием, благодаря которому грузинское поэтическое слово обрело почетное место в сокровищнице мировой поэзии. Поэма представляет собой своеобразный моральный кодекс, преобразованный творческим сознанием великого поэта. С XII века до наших дней все новые и новые поколения черпают из нее ярчайшие примеры дружбы, любви и человеколюбия. «Витязь в тигровой шкуре» – это гимн свободе, демократии, утверждение способа сосуществования на основе цивилизованных норм. В поэме затрагиваются вопросы во многом актуальные для нашего времени, в частности, нюансы глобализации.

Действие поэмы имеет как бы всемирный характер. Аравия и Индия, Мульгазанзар и Хатаэт, царство купцов и Хваразм, царство камней и Гуланшаро – таков географический ареал поэмы, финал которой представляет собой торжество добра, триумф доброго начала над злым.

Герои поэмы являются представителями разных стран, но этот факт вовсе не мешает им совершать великие, наполненные гуманизмом поступки, приобщаться к величайшим общечеловеческим ценностям и являть собой высочайший пример сосуществования.

Изображенные в поэме отношения между индийцем и арабом, мульгазанзарцем и гуланшарцем, хатаэльцем и хваразмцем представлены таким образом, что они выходят за рамки просто знакомства; представители разных стран формируют духовное братство, легко вступают в общение друг с другом.

Араб по национальности, Автандил крепостью своей веры, общечеловеческими идеями, высокими нравственными качествами похож на индийца Тариэля; такая же близость наблюдается между мульгазанзарцем Придоном и арабскими и индийскими кондами; много общего

между хатаэльскими пиратами и арабским спаспетом, схожи жители морского царства и облаченный в купеческие одежды арабский рыцарь, царь Индии выбирает своим зятем хваразмского царевича; повелитель морского царства прилагает много усилий, чтобы заполучить в невестки индийскую девушку Нестан. Более того, даже царство каджей ищет пути к миру людей (об этом свидетельствует желание каджей заполучить в невестки Нестан).

На фоне изображенного в поэме многонационального союза Руставели показывает отсутствие национальных барьеров, даже различие в вероисповедании героев не создает им никаких преград в общении. Правда, сквозь всю поэму проходит одно магическое слово «миджнур», перед которым открываются все двери. И все-таки гармония отношений, показанная в поэме, поражает братским единением иноплеменников, которым не мешают национальные различия, языковые барьеры, которые способны возносить молитвы свои богам в одной молельне. Действуя согласно принципу «где хочешь, там и молись», они объединяют свои усилия в борьбе против каджей, крепость которых предстает символом зла и ненависти.

После долгой разлуки Автандил встречается с побратимами – хатаэльцами, которые смогли в обители зла породить добро (в коварной схватке с Тариэлем они пытались его пленить). Благодаря рассказу хатаэльцев Автандил получил очень ценные сведения о схватке, происшедшей между ними и незнакомым витязем. Этот эпизод дал жизнь руставелевскому афоризму: «Зло сразив, добро пребудет в этом мире беспредельно» (перевод Ш. Нуцубидзе).

Очень естественно и непринужденно вступает арабский спаспет Автандил в диалог с пиратами. С такой же легкостью Автандил общается с другими героями поэмы: Фатьмой, Асмаг, Придоном, Нестан и Териэлем.

Руставели полностью исключает возникновение проблем в человеческом общении на почве национальной принадлежности. Нет в поэме ни одного эпизода, в котором бы ощущалась неприязнь из-за различий в

обычаях или образе жизни, разделения людей по национальному признаку. Герои поэмы с первой же встречи заключают друг друга в дружеские объятия. Такой была первая встреча Тариэля и Автандила, которых не отпугнуло то, что они принадлежат разным народам, такие же взаимоотношения характерны для других героев поэмы: Нестан и побратимов, Тинатин и Нестан, Ростевана и Тариэля. Таким образом, в поэме «Витязь в тигровой шкуре» стираются границы между государствами; ее героям чужды языковые и религиозные барьеры во взаимоотношениях и, если вдумчиво вчитаться в каждую строчку поэмы от первой до последней, становится ясно, что каждое ее действующее лицо наделено способностью сопереживать чужому горю и жертвовать собой во имя счастья ближнего, то есть способностью осуществлять истинно человеческое общение.

Как показал анализ, в поэме рельефно выступает общая идея: истинное правило человеческих отношений состоит не в обособлении, а во всеобщей взаимосвязи.

По моему мнению, Шота Руставели предлагает нам вполне оригинальный путь глобализации, который предполагает такие средства достижения всеобщей гармонии, как отказ от насилия, отказ от достижения власти путем угнетения слабых сильными мира сего, отказ от межнациональных конфликтов и социальных потрясений, и обретение единства, основанного на любви.

Использованная литература:

1. Ш. Руставели. «Витязь в тигровой шкуре». Тб., 2011 (на груз. яз.).
2. Т. Васадзе. Комментарии к художественному содержанию «Витязь в тигровой шкуре». Тб., 2008 (на груз. яз.).

ლიანა ლორია

გლობალიზაცია და შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ავტორის მოკრძალებულ მოსაზრებებს, მე-12 საუკუნის დიდი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ერთ ერთ ძირითად საკითხზე, სადაც ადამიანის ყოველმხრივი ფორმირების მაგალითზე შევსებული და სრულყოფილია მსოფლიო პოეზიის საგანძური. პოემის ყველა გმირის ურთიერთობა ემყარება მეგობრობას, ურთიერთდახმარებას და მისწრაფებას მიაღწიოს მიზანს ერთობლივი ძალისხმევით.

Лиана Лория

ГЛОБАЛИЗАЦИЯ И ПОЭМА ШОТА РУСТАВЕЛИ

«ВИТЯЗЬ В ТИГРОВОЙ ШКУРЕ»

Резюме

Настоящая работа представляет собой скромные соображения автора по одному из основных вопросов поэмы великого грузинского поэта и общественного деятеля XII века, пополнившего сокровищницу мировой поэзии, Шота Руставели «Витязь в тигровой шкуре» – проблеме формирования всемирного человека.

Взаимоотношения всех героев поэмы строятся на основе дружбы, взаимопомощи и стремления к достижению цели едиными усилиями.

Liana Loria

**GLOBALIZATION AND THE POEM OF THE SHOT RUSTELI
"VITYAZ IN TIGER SKIN"**

Summary

This work is a modest consideration of the author on one of the main issues of the poem of the great Georgian poet and public figure of the 12th century, who replenished the treasury of world poetry, Shota Rustaveli "The Knight in the Panther's Skin" - the problem of the formation of the world man.

The relationship of all the heroes of the poem is built on the basis of friendship, mutual assistance and the desire to achieve the goal with a single effort.

ქართველ ჯანაღიქი

ლათინური ენის საერთაშორისო სტატუსი

ლათინური ენა კულტურის ერთად ერთ ენას წარმოადგენდა და რენესანსის ეპოქამდე საერთაშორისო ენის ფუნქციებს ასრულებდა.

ლათინიზებული ლექსიკა ემსახურება ტერმინოლოგიის ზრდას ყველა სფეროში, მაგალითად: მეცნიერებასა და ტექნიკაში. ლათინური - ეს არის მთავარი ენა ევროპული კულტურის, ლიტერატურული განათლების დონის ზრდის საშუალება.

წარმოადგენს რა რომის იმპერიის სახელმწიფო ენას, რომელსაც ჩვ. წ. აღ. III საუკუნიდან უზარმაზარი ტერიტორია ეკავა ხმელთაშუა ზღვის ირგვლივ, ლათინური ენა კულტურის ერთადერთ ენად ითვლებოდა. მის ისტორიულ როლს, როგორც მეცნიერებისა და ლიტერატურის საერთაშორისო ენისა, მნიშვნელოვნად განასხვავებს მას სხვადასხვა ხელოვნური ენებიდან, რომლებიც შეიქმნა საერთაშორისო ურთიერთობებისათვის.

ამგვარად, XII-XIII სს. ლათინური რჩებოდა მხოლოდ ლიტერატურულ ენად, მხატვრული შემოქმედების და სამეცნიერო აზრის იარაღად, მაგრამ უპირველეს ყოვლისა - კათოლიკური რელიგიის ენად, რომელიც შუა საუკუნეების იდეოლოგიის საფუძველზე იყო შექმნილი. მრავალრიცხოვან რომანულ ტომების ზეპირი ურთიერთქმედებისას ლათინური ენა ისე შეიცვალა, რომ აღმოჩნდა ადგილობრივი დიალექტების რიგებში, რომელიც ვულგარული ლათინური ენის სახელის მატარებელია. გარდა ამისა, ამ დიალექტებმა მისცა დასაბამი თანამედროვე რომანული ენებს. ლათინური ენის მცოდნეებს ჰქონდათ ორმხრივი კომუნიკაციის საშუალება, როგორც რომანულ ქვეყნების მაცხოვრებლებთან ასევე მის ფარგლებს გარეთ.

შუა საუკუნეების შესანიშნავი ლათინური ლიტერატურის ქრესტომატიის შემქმნელები წერენ:

"ლათინური ენა არ იყო მკვდარი ენა და ლათინური ლიტერატურა არ იყო მკვდარი ლიტერატურა.

ლათინურად არა მხოლოდ წერდნენ, არამედ საუბრობდნენ კიდევ, ეს იყო სასაუბრო ენა, რომელიც აერთიანებდა მცირერიცხოვან განათლებულ დამიანებს იმ პერიოდისას....და ლათიურ ენაზე არა მარტო ტრაქტატები იწერებოდა არამედ

ქადაგებები, ისტორიული ნაწარმოებები და ლექსებიც "[2].

შესაბამისად, ლათინური ენა საუკუნეების განმავლობაში, რენესანსის ეპოქამდე ასრულებდა საერთაშორისო ენის ფუნქციას, არა მარტო მეცნიერებაში, არამედ პოეზიაშიც.

რენესანსის ეპოქამ შექმნა რა მკაცრი ნორმა კლასიკური ლათინურისთვის, მნიშვნელოვნად შეზღუდა ახალი ლათინური და დამატებითი სტიმული მისცა ლიტერატურის განვითარებას ეროვნულ ენებზე. ლათინური ენის ეტაპობრივი და სტაბილური უკან დახვევა ამ სფეროში აღინიშნება, როგორც კულტურული განვითარების პოზიტიური მომენტი.

ლათინური ენის ჰარმონიული შერწყმის ეპოქა საერთაშორისო და ეროვნულ ენებისა, როგორც მისი მემკვიდრის ტოლფასი იყო XVIII საუკუნეში [3].

ამ ფაქტის მაგალითია მ. ლომონოსოვის სამეცნიერო შეოქმედება.

ლათინურ ენას ის იყენებს თავის ნაშრომებში: ქიმია ფიზიკა, ასტრონომია, მინერალოგია. ამ ნაშრომების უმრავლესობა ითარგმნება რუსულად და იქმნება რუსული საბუნებისმეტყველო ტერმინოლოგიის ბაზა. როგორც ცნობილია, მ. ლომონოსოვისთვის ლათინური შემოქმედებითი აზროვნების სისტემა, განვითარების გამომსახველი ახალი საშუალებების ამოუწურავი წყარო იყო [1; 23].

აღსანიშნავია, რომ ეროვნული მოძრაობების უწყვეტი ზრდის ზემოქმედების ქვეშ მოხდა ლათინურ ენის გადაადგილება ეროვნული დიალექტით და გამოიწვია ინტენსიური სამეცნიერო ურთიერთობების აშკარა დაზიანება.

ნეგატიური გავლენა ცოცხალი ლათინური ენის შენარჩუნებაზე მოახდინა ჯერ კიდევ ერთ-ერთმა ფაქტორმა - იდეა უნივერსალური ენის გაჩენისა, ხელოვნურად შექმნილი ენა კაცობრიობისთვის განკუთვნილი საერთო და ერთადერთი ენა.

იქმნება საერთაშორისო ენის გაგების მყარი ტრადიცია, როგორც ხელოვნური, რომელიც ინარჩუნებდა ძალას მაშინ, როდესაც საერთაშორისო ენაზე დაიწყეს შეზღუდვის მიღება, და დამხმარე ენის შექმნის ნამდვილი როლი, მხოლოდ გარკვეულ სფეროებში ადამიანების ურთიერთობებისათვის იყო.

არსებობს საინტერესო თეორია, იტალიელი მათემატიკოსის ჯ. პეანოს 1909 შემოთავაზებული პროექტი საერთაშორისო ენის სახელწოდებით "ინტერლინგვა", რომლის არსი იხსნება მის მეორე სახელწოდებაში "Latino sine flexione" [3]. ეს ენა მთლიანად ორიენტირებულია ლათინურ და ლათინიზებული ლექსიკაზე. განსაკუთრებით გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენება ჯ.პეანომ ჩამოაყალიბა, როგორც მინიმუმ თეორიული შესაძლებლობა გრამატიკის მოცულობისარა თქმა უნდა, საუბარი არის გრამატიკის უარყოფაზე მთლიანობაში, რაც წარმოადგენდა ლინგვისტურ აბსურდს.

მიუხედავად იმისა რომ, ლათინურმა დაკარგა ადრე არსებული ღირებულება მეცნიერების ნებისმიერი სპეციალობის საერთაშორისო ენისა, მისი პოზიცია ძალაში რჩება დღესდღეობით შემდეგ სამეცნიერო დარგებში: ანატომია, მედიცინა, სამართალი და ფარმაცოლოგია.

ლათინიზებული ბერძნული ლექსიკა გამოიყენება ძირითად წყაროდ ყველა სფეროს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების თანდათანობით მზარდი ტერმინოლოგიების შესავსებად.

ლათინური ენა - ეს არის ევროპული კულტურის მთავარი ენა ანტიკურ დროიდან დღემდე.

ლათინური ენის გამოყენების პრაქტიკა ხასათდება, როგორც მეცნიერების საერთაშორისო და ლიტერატურული შემოქმედების ენის მოძრაობის დინამიკა ცოცხალი ლათინურისათვის.

ძირითადი მაჩვენებელი იყო ხელმისაწვდომი ჟურნალები, ლათინურ ენაზე გამოცემული სამეცნიერო სტატიებით.

მაგალითად, ჰოლანდიური ლიტერატურული ჟურნალი "Mnemosyne", რომელიც ბოლო დრომდე ლათინურ ენაზე ბეჭდავდა სტატიებს [1; 55].

ლათინურ ენაზე გამოცემული ჟურნალები სპეციალურად ემდგინება ცოცხალ ლათინურს Latin: «Latinitas» (ვატიკანი), «Palaestra Latina» (ბარსელონა), «Vox Latina» (ზაარბრუკენის), «Vita Latina» (Avignon), «Orbis Latinus» (Mendoza, არგენტინა). ამ ჟურნალებში სისტემატურად ქვეყნდება სხვადასხვა ქვეყნებში ახალი ლათინური ენის სტანდარტიზაციის მიმდინარე სამუშაოების შედეგებზე.

ლათინური, როგორც სამეცნიერო და მხატვრული კულტურის საერთაშორისო ენის, ისტორიის ძირითადი მაჩვენებლებზე მიმოხილვა იძლევა დასკვნას

მისი უნარის შესახებ, იცხოვროს და განვითარდეს ამ ფუნქციებით ჩვენი დროის საჭიროებების შესაბამისად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Боровский, Я. М. Латинский язык как международный язык науки // Проблемы международного вспомогательного языка. М., 2001. 120 с.
2. URL: www.pedagogica.ru
3. URL: www.linguistica.ru

ქეთევან ჯანელიძე

ლათინური ენის საერთაშორისო სტატუსის რეზიუმე

ლათინური კულტურის ერთადერთი ენა არის, ლათინური ენა შეიცვალა იმდენად, რომ დიალექტების რიგებში აღმოჩნდა. რენესანსის პერიოდამდე ლათინური ასრულებდა საერთაშორისო ენის როლს. ნეგატიური გავლენა ცოცხალი ლათინური ენის შენარჩუნებაზე მოახდინა კიდევ ერთმა ფაქტორმა - უნივერსალური ენის გაჩენის იდეამ. ლათინიზებული ლექსიკა ძირითადი წყარო გახადა ყველა სფეროში პროგრესულად მზარდი მეცნიერებისა და ტექნიკის ტერმინოლოგიის შევსებით ლათინური - ეს არის ევროპული კულტურის მთავარი ენა. ლათინური ენა ლიტერატურული განათლების დონის ამაღლების საშუალებაა.

Кетеван Джанелидзе

МЕЖДУНАРОДНЫЙ СТАТУС ЛАТИНСКОГО ЯЗЫКА

резюме

Латинский язык представлял собой единственный язык культуры. Латинский язык изменился настолько, что превратился в ряд локальных диалектов. До эпохи Возрождения латинский язык безупречно выполнял функции международного языка. Отрицательное влияние на поддержание живой латыни оказал еще один фактор – возникновение идеи универсального языка. Латинизированная лексика служит основным источником пополнения прогрессивно возрастающей терминологии во всех областях науки и техники. Латинский язык – это основной язык европейской культуры. Латинский язык является одним из средств повышения уровня филологического образования.

Ketevan Janelidze

INTERNATIONAL STATUS Latin

Summary

Latin is the only language culture. The Latin language has changed so much that it is now in a number of local dialects. Before the Renaissance Latin impeccably served as an international language. Haute-negative effect on the maintenance of a living Latin had another factor - the emergence of the idea of a universal language. Latinized vocabulary is the main source of replenishment of progressively increasing the terminology in all fields-science and technology. Latin - is the main language of European culture. The Latin language is a means of increasing the level of literary education

ოზარ ცხადაძე

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი. საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი

აღზრდის ზოგიერთი საკითხი ვასილ სუხომლინსკის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში

მეცნიერებაში ნაყოფიერ მემკვიდრეობას ის ტოვებს, ვინც თავისი მოწოდება ადრიდანვე შეიცნო და მთელი ცხოვრება იმ საქმის კეთებას მიუძღვნა, რაც ყველაზე მეტად აინტერესებდა. ვასილ სუხომლინსკის კარგად ჰქონდა შესწავლილი აღზრდის თეორია, ამდენად, მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ამ იდეის პრაქტიკულად გამდიდრებასა და სრულყოფას მოახმარა. მან ჯერ კიდევ ადრეული სიჭაბუკის ასაკში, 16 წლიდან აირჩია თავის პროფესიად პედაგოგიური მოღვაწეობა და სიცოცხლის ბოლომდე არ უღალატია მისთვის.

1934 წელს ვ.სუხომლინსკიმ დაამთავრა კრემენჩუგის მოსამზადებელი კურსები, ხოლო 1935 წლიდან იწყება მისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა. 1938 წელს დაამთავრა პოლტავის პედაგოგიური ინსტიტუტი. მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. 1942 წელს ფრონტზე მძიმედ დაიჭრა და ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა თავის საყვარელ პედაგოგიურ საქმიანობას. 1948 წლიდან 1970 წლამდე, სიცოცხლის ბოლომდე ვ.სუხომლინსკი შეუცვლელად მუშაობდა პავლიშის საშუალო სკოლის დირექტორად.

1954 წელს ვ.სუხომლინსკიმ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „სკოლის დირექტორი–სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის ხელმძღვანელი“. სამი წლის შემდეგ მას ირჩევენ სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ–კორესპოდენტად და ანიჭებენ უკრაინის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდებას.

სახალხო განათლების დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის ვ. სუხომლინსკი დაჯილდოვებული იყო ა.ს.მაკარენკოს სახელობის მედლით, 1968 წელს კი მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

იმვითაი პედაგოგი, სახალხო განათლების მუშაკი, რომელსაც პრაქტიკული სასწავლო აღმზრდელიობითი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისა და პედაგოგიური მეცნიერების ღრმა შინაარსიანი შრომებით გამდიდრების დარგში ასეთი წარმატებისათვის მიეღწიოს.

ვ.სუხომლინსკის სახელობის პავლიშის საშუალო სკოლა მისი დირექტორის ნაყოფიერი მუშაობის შედეგად სანიმუშოდ იქცა. სკოლა აგურის რამოდენიმე შენობისაგან შედგება და პატარა ქალაქს ჰგავს. იგი ტყეშია ჩაფლული, სადაც ვაშლის ბაღებია გაშენებული. სკოლის გვერდით სტადიონი და სპორტული მოედნებია, რომელსაც ირგვლივ ვაზისა და ატმის ხეივნები აკრავს. ლამაზი, ჯანსაღი ბუნება, მდინარისა და წყალსაცავების სიახლოვე კეთილ გავლენას ახდენს ბავშვთა გონებრივ, ზნეობრივ და ფიზიკურ განვითარებაზე, აღსაზრდელთა ჯანმრთელობაზე. სკოლის შენობის ცენტრალურ ნაწილში ოთხი ოთახი უჭირავს ვ.სუხომლინსკის პედაგოგიურ მემორიალურ მუზეუმს.

ვასილ სუხომლინსკის როგორც მეცნიერულ, ასევე პრაქტიკულ პედაგოგიურ მემკვიდრეობაში ნათლადაა წარმოჩინებული აღზრდის უმნიშვნელოვანესი, ძირითადი მიმართულებანი, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ის თეორიული და პრაქტიკული დასკვნები, რასაც მისი პედაგოგიური მოძღვრება შეიცავს. ამ საკითხში იგი ა. მაკარენკოს მემკვიდრე და მისი საქმის გამგრძელებელია. „არ არსებობს სხვა პედაგოგი–პრაქტიკოსი, – წერდა ვ.სუხომლინსკი, რომელიც მე ისე მიყვარდეს და პატივს ვცემდე, როგორც ა.მაკარენკოა. ოცდათორმეტი წელია სკოლაში ვმუშაობ და ოცდათორმეტი წელია ვცდილობ გავიზარო მისი პრაქტიკიდან გამომდინარე თეორიული დასკვნები. ჩემს აღფრთოვანებას იწვევს მისი დაჟინებული სიძულვილი ლაქლაქისა და ბრტყელ–ბრტყელი სიტყვებით ლაპარაკისადმი, მისი პედაგოგიური შემართების გაბედულება“.[1].

მოსწავლეთა კოლექტიური აღზრდა ვასილ სუხომლინსკის მიხედვით იწყება „მოსწავლეებში კოლექტივიზმის აღზრდით.“ მისი ერთ–ერთი პირველი წიგნი სწორედ ასეთ სახელწოდებას ატარებს [2]. როგორც ამ, ასევე შემდგომ შრომებში კოლექტივიზმის ჩვევათა აღზრდას მოსწავლეებში ვ.სუხომლინსკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

აღზრდის საქმეში ბავშვთა კოლექტივის მნიშვნელობის რელიეფური წარმოჩინებისათვის იგი უჩვენებს რა დიდ როლს ასრულებს მოსწავლის სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებაში კოლექტიური ემოციები, ბავშვური თანაგანცდა, იდეური, ინტელექტუალური და ორგანიზაციული ერთობა.

მაკარენკოს მოძღვრება – აღზრდა კოლექტივში და კოლექტივის მეშვეობით, აღნიშნავს ვ.სუხომლინსკი, ანბანური ჭეშმარიტებაა. მაგრამ ანბანიდან საჭიროა თანდათან სულ უფრო რთულ ტექსტებზე გადასვლა: და იგი სათავეში ჩაუდგა ამ საქმეს, როგორც ჭეშმარიტი ნოვატორი და ჩამოყალიბა მწყობრი შეხედულება კოლექტიური აღზრდის მეთოდების შეერთებისა პიროვნების ჩამოყალიბების პროცესისადმი ინდივიდუალურ მიდგომასთან.

ვ.სუხომლინსკი ნოვატორად გვაველინება ა.მაკარენკოს შეხედულებათა განვითარებაშიც მოსწავლეთა პირველადი /საკლასო/ და მეორადი /სასკოლო/ კოლექტივების აღმზრდელობით შესაძლებლობებზე. ამ საკითხის ხანგრძლივი კვლევის შედეგად ვ.სუხომლინსკი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ძირითადი აღმზრდელობითი ფაქტორის როლს მხოლოდ პირველად კოლექტივი თამაშობს.

ამ საკითხში, ერთი შეხედვით, თითქოს ვ.სუხომლინსკის შეხედულებები ეწინააღმდეგება ა.მაკარენკოს შეხედულებას, რაზედაც თვით ვ.სუხომლინსკი მიუთითებს. აი, რას ამბობს ამის შესახებ იგი წერილში „ჩემს ახალგაზრდა მეგობარს“, რომელიც 1970 წლის 28 ოქტომბერს გაზეთ „ლიტერატურნაია გაზეტაში“ გამოქვეყნდა: „რაც შეეხება საერთო სასკოლო კოლექტივს, საჭიროა დავფიქრდეთ, შესაძლებელია კი ის შაბლონური გაგებით არა კომუნის, არა ბავშვთა სახლის, არამედ ჩვენი ჩვეულებრივი სკოლის პირობებში, რომელიც 1000–მდე ბავშვს აერთიანებს, თუმცა მაკარენკო მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. თვლის რა, რომ მხოლოდ მისი დახმარებით შეიძლება გამოვავლინოთ საზოგადოებრივი აზრის უძლიერესი ძალა როგორც მარეგულირებელი და მადისციპლინებელი აღმზრდელობითი ფაქტორი. მრავალი წლის მანძილზე ვცდილობდი შემექმნა ეს საზოგადოებრივი კოლექტივი და რაც უფრო მივისწრაფოდი მისკენ, მით უფრო ნათლად წარმოჩინდებოდა

ხოლმე ტენდენცია – კოლექტივი კოლექტივისათვის, საქმიანობა იმის მისაღწევად, რომ ყოფილიყო „ხელმძღვანელობა“, „ხელქვეითი“, „ურთიერთდამოკიდებულება“. ყველაზე პატარებისა და ყველაზე უფროსების განვითარების დონე, მათი ინტერესები, მოთხოვნილებანი – ყოველივე ეს იმდენად განსხვავებულია, რომ, პატიოსნად თუ ვაღიარებთ, დასკვნის გაკეთება საერთო სასკოლო კოლექტივის არსებობის შესახებ, რაც უნდა მეღონა, დიდი გაჭირვებით თუ შემეძლო.“

მაკარენკოსა და სუხომლინსკის ნაშრომების ღრმა შესწავლამ ჩვენ სხვა დასკვნამდე მიგვიყვანა: სუხომლინსკი პირვალად კოლექტივს /სასწავლო ჯგუფს/ აღმზრდელობითი მუშაობის ცენტრად თვლის საერთოდ და ეს პედაგოგიკაში შემუშავებულ აღმზრდელობითი მუშაობის კანონზომიერებებს მთლიანად ეთანხმება. მაგრამ ამასთან ერთად იგი სრულიად არ უარყოფს საერთო სასკოლო კოლექტივის აღმზრდელობით შესაძლებლობებს. თუ მივიღებთ მხედველობაში სასკოლო კოლექტივის როლს ბავშვთა აღზრდის საქმეში იგი ძალიან დიდია და ვ.სუხომლინსკის პედაგოგიური მემკვიდრეობის შესწავლას, რომელიც უფრო ღრმა ცალკე კვლევის საგანია, უთუოდ შეუწყობს ხელს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ლიტერატურნაია გაზეტა“, მ. 28 ოქტომბერი 1970 წ.
2. Сухомлинский В.А. Воспитание коллективизма у школьников М. 1956 г. с.116

ომარ ცხადაძე

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი. საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი

აღზრდის ზოგიერთი საკითხი ვასილ სუხომლინსკის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში

რეზიუმე

შრომში საუბარია ვასილ სუხომლინსკის პედაგოგიური მემკვიდრეობის ცალკეულ დეტალებზე. გაკეთებულია მოწოდებები, მოცემულია შედარებები და რეკომენდაციები.

Омар Цхададзе

ректор учебного университета Академии наук туризма Грузии, академик Академии образовательных наук Грузии, профессор

Некоторые вопросы воспитания в педагогическом наследии Василия Сухомлинского

Резюме

В работе говорится об отдельных деталях педагогического наследия Василия Сухомлинского. Сделаны призывы, даны сравнения и рекомендации.

Omar Tskhadadze

Rector of the Educational University of the Georgian Academy of Tourism, Academician of the Georgian Academy of Education, Professor

Some issues of education in the pedagogical heritage of Vasily Sukhomlinsky

Summary

The work speaks about separate details of the pedagogical heritage of Vasily Sukhomlinsky. Made appeals, given comparisons and recommendations.

თეორია გიორგაძე


აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

მოზაიკური რიცხვები

დაწყებითი სკოლის მოსწავლეთა მათემატიკით დაინტერესება მასწავლებლისაგან მოითხოვს არა მარტო მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, არამედ მათემატიკური ცნებებისა და ფაქტების ღრმა გაგებას და გააზრებას. დაწყებით სკოლაში საფუძველი ეყრება ისეთ უმნიშვნელოვანეს ცნებებს, როგორცაა „რიცხვი“ და „სიდიდე“, ხდება ალგებრისა და გეომეტრიის საწყისების გაცნობა, იწყება ბავშვის ლოგიკური აზროვნების განვითარება. მრავალ მათემატიკურ ცნებას მოსწავლეები ეცნობიან მკაცრი განსაზღვრის გარეშე, მრავალ შემთხვევაში ეს ხდება არაცხადი სახით. ყოველივე ეს დაწყებითი სკოლის მასწავლებლის მათემატიკურ მომზადებას უყენებს ძალზე სერიოზულ მოთხოვნებს. მასწავლებელი კარგად უნდა ფლობდეს დაწყებითი სკოლის მათემატიკის კურსის თეორიულ საფუძვლებს.

ჩვენ მოვიყვანთ ნატურალურ რიცხვებს, რითაც ისინი გამოირჩევიან სხვა ნატურალური რიცხვებისაგან თავიანთი თვითმყოფადობით. თავისთავად ყველა რიცხვი შესანიშნავი და განუმეორებელია. რიცხვი 1 არც მარტივია და არც შედგენილი. ავიღოთ 2, აღსანიშნავია, რომ იგი ერთადერთი ლუწი მარტივი რიცხვია?! ახლა ავიღოთ 3; რითაა ის შესანიშნავი? გარდა იმისა, რომ ეს პირველი კენტი მარტივი რიცხვია, იგი ერთადერთია, რომელიც მისი წინა ორი რიცხვის ჯამს უდრის: $1+2=3$.

ავიღოთ რიცხვთა წყვილი - 16 და 18. ასე ვთქვათ, ისინი ჩვეულებრივი რიცხვებია. მართალია, პირველი სრული კვადრატია $4^2=16$, მაგრამ ასეთი ხომ უამრავია და ეს არ არის საბაზი, რომ 16-ს რაიმე უპირატესობა მივანიჭოთ; მაგრამ ნუ ავჩქარდებით, – ამოვხსნათ შემდეგი გეომეტრიული ამოცანა: იპოვეთ მარკუთხედი, რომლის გვერდების სიგრძეები მთელი რიცხვებია და, გარდა ამისა, მისი ფართობისა და პერიმეტრის გამომსახველი რიცხვები ერთმანეთის ტოლია. რას მივიღებთ? ასეთი მართკუთხედი ორად ორია: ერთი კვადრატი, რომლის ფართობია 16 და, მასასადამე, პერიმეტრიც 16-ია, მეორე – მართკუთხედი, რომლის სიგრძეა 6, სიგანე კი – 3, ე.ი., ფართობიც და პერიმეტრიც 18-ია (ნახ.1).



ნახ.1

„მეგობრული რიცხვები“ – ისეთი ნატურალური რიცხვების წყვილია, რომელთაგან ერთი ტოლია მეორის გამყოფების ჯამისა. მაგალითად, 220 და 284:

$$220=1+2+4+71+142;$$

$$284=1+2+4+5+10+11+20+22+44+55+110.$$

ერთხელ პითაგორას ჰკითხეს: ვის თვლის იგი თავის მეგობრად?! პითაგორამ უპასუხა: „იმას, ვინც არის ჩემი მეორე „მე“, როგორც რიცხვები 220 და 284“.

ამჟამად ცნობილია დაახლოებით 1100 წყვილი მეგობრული რიცხვებისა. 20000-ის ფარგლებში მეგობრულ რიცხვთა წყვილებია:

$$220=2^2 \cdot 5 \cdot 11 \text{ და } 284=2^2 \cdot 71;$$

$$1184=2^5 \cdot 37 \text{ და } 1210=2 \cdot 5 \cdot 11^2;$$

$$2620=2^2 \cdot 5 \cdot 131 \text{ და } 2924=2^2 \cdot 17 \cdot 43;$$

$$5020=2^2 \cdot 5 \cdot 251 \text{ და } 5564=2^2 \cdot 13 \cdot 107;$$

$$6232=2^3 \cdot 19 \cdot 41 \text{ და } 6368=2^5 \cdot 199;$$

$$10744=2^3 \cdot 17 \cdot 79 \text{ და } 10856=2^3 \cdot 23 \cdot 59;$$

$$12285=3^3 \cdot 5 \cdot 7 \cdot 13 \text{ და } 14595=3 \cdot 5 \cdot 7 \cdot 139;$$

$$17296=2^4 \cdot 23 \cdot 47 \text{ და } 18416=2^4 \cdot 1151.$$

„სრულყოფილი რიცხვი“ – მთელი დადებითი რიცხვი, რომელიც ტოლია ყველა თავისი გამყოფების ჯამისა ერთის ჩათვლით, გარდა თვით ამ რიცხვისა. მაგალითად, ერთეულებში ერთადერთი სრულყოფილი რიცხვია 6:

$$6=1+2+3;$$

ათეულებში სრულყოფილი რიცხია 28:

$$28=1+2+4+7+14;$$

ასეულებში 496:


$$496=1+2+4+8+16+31+62+124+248;$$

ათასეულებში ერთადერთი სრულყოფილი რიცხვია 8128.

ყველა მოძებნილი სრულყოფილი რიცხვი ლუწია, არსებობს თუ არა კენტი სრულყოფილი რიცხვი უცნობია. სრულყოფილი რიცხვების გამყოფთა შებრუნებული მნიშვნელობების ჯამი, თვით სრულყოფილი რიცხვის, როგორც გამყოფის ჩათვლით ყოველთვის 2-ის ტოლია. მაგა-


ლითად, რიცხვისათვის 28 გვაქვს: $\frac{1}{1} + \frac{1}{2} + \frac{1}{4} + \frac{1}{7} + \frac{1}{14} + \frac{1}{28} = 2$.

„ფიგურული რიცხვები“ – პითაგორელები რიცხვებს გამოსახავდნენ წერტილების სახით, რომლებსაც აჯგუფებდნენ გეომეტრიულ ფიგურებად. ასე წარმოიშვა „ფიგურული რიცხვების“ ცნება. პითაგორელების გარდა ფიგურულ რიცხვებს შეისწავლიდნენ სხვა ბერძენი მეცნიერებიც: ერატოსფენი, ნიკომახი, დიოფანტე და სხვა. ასეთ რიცხვებს შეისწავლიდნენ ინდოეთის მათემატიკოსებიც. ფიგურული რიცხვები გამოსახულია ნახ.2-ზე.



ნახ.2

შემოვიტანოთ „მოზაიკური რიცხვების“ ცნება. განვიხილოთ ტოლგვერდა სამკუთხედი და გავყოთ იგი მაგალითად 100 ტოლ სამკუთხედებად (ნახ.3).




ნახ.3.

შრეები გამოვყოთ მუქი და ღია ფერით. სამკუთხედს, რომელშიც ჩაწერილია რიცხვი 1 ვუწოდოთ ბირთვი ანუ პირველი შრე, მეორე შრე შედგება 15 სამკუთხედისაგან და იგი მუქად არის წარმოდგენილი, შემდეგი შრე ღია ფერისაა და მასში მოთავსებულია 33 სამკუთხედი, მეოთხე შრე მუქი ფერისაა და შედგება 51 სამკუთხედისაგან, სულ $1+15+33+51=100$. ეს პროცესი შეიძლება უსასრულოდ გავაგრძელოთ და მივიღებთ რიცხვების მწკრივს: 1, 15, 33, 51, 69, 87, 105, 123, 141, 159, 177, ... ზოგადად ამ მწკრივისათვის გვექნება – $K_n=3(6n-1)$, სადაც $n \in \mathbb{N}$ ($n \geq 1$; მწკრივის წევრის მიღება დაიწყება 15-დან). ამ მწკრივის წევრები მეორე

წვერიდან დაწყებული ქმნიან არითმეტიკულ პროგრესიას, რომლის სხვაობა $d=18$ -ს.

ექვსი შრით შექმნილი მოზაიკური რიცხვები წარმოდგენილია ნახ.4-ზე.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ კენტ შრეებში ჩაწერილი რიცხვები, 4-ზე გაყოფისას ნაშთს გვაძლევს 1-ს, ხოლო ლუწ შრეებში ჩაწერილი რიცხვები კი 4-ზე გაყოფისას ნაშთს გვაძლევს 3-ს. პირველი ოთხი მოზაიკური რიცხვის ჯამი, როგორც აღვნიშნეთ 100-ის ტოლია, პირველი 34 მოზაიკური რიცხვის ჯამი 10000-ს გვაძლევს, ხოლო პირველი 334 მოზაიკური რიცხვის ჯამი კი მილიონის ტოლია. ასევე შეიძლება იმ მოზაიკური რიცხვების რაოდენობის პოვნა, რომლებიც ჯამში 100 მილიონს მოგვცემს და ა.შ.



ნახ.4

ამრიგად, მოზაიკური რიცხვები ერთ-ერთ საინტერესო წარმოდგენას გვაძლევს ნატურალური რიცხვების ბუნების აღსაქმელად.

თეიმურაზ გიორგაძე

აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

მოზაიკური რიცხვები

რეზიუმე

ნატურალური რიცხვები გამოირჩევიან თავიანთი თვითმყოფადობით, თავისთავად ყველა რიცხვი შესანიშნავი და განუმეორებელია. არსებობენ „სრულყოფილი რიცხვები“, „მეგობრული რიცხვები“, „ფიგურული რიცხვები“ და სხვა. ნაშრომში შემოტანილია „მოზაიკური რიცხვები“, მათზე წარმოდგენა და ზოგიერთი თვისება, რითაც ისინი განსხვავდებიან სხვა ნატურალური რიცხვებისაგან.

Теимураз Гиоргадзе

Государственный университет Акакия Церетели

Мозаические числа

Резюме

Натуральные числа выделяются своей самобытностью и само по себе все числа неповторимые. Существуют «полноценные числа», «дружеские», «фигуральные» и т.д. В статье внесены представления и некоторые свойства «мозаических чисел» а также их отличия от других натуральных числ.

Teimuraz Giorgadze

Associated professor of Akaki Tsereteli State University

Mosaic Numbers

Summary

Natural numbers are distinguished for their uniqueness. All numbers are inimitable. There are “Absolute numbers”, “friendly numbers”, “Figure numbers” and etc.

In the article there is introduced the notion on “Mosaic numbers”, concept on them and some distinctive characteristics from natural numbers

კაპაშურიძე ნათელა

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

სახელმწიფოს როლი ბიზნესის გარემოს ჩამოყალიბებაში

სახელმწიფომ უნდა შექმნას ბიზნესის ჩამოყალიბება-განვითარების ხელსაყრელი გარემო-პირობები: ქვეყანაში უზრუნველყოს პოლიტიკური სტაბილიზაცია, სიმშვიდე, წესრიგი და დისციპლინა, დაცული უნდა იქნეს ბიზნესმენის ქონება და ტვირთი ტრანსპორტირებისას; სახელმწიფოს ევალუა, ასევე, უზრუნველყოს კონკურენტული გარემო, ვალუტის სიმტკიცის დაცვა, ინფლაციის მოთოკვა, ანტიმონოპოლიური და დემონოპოლიური ღონისძიებების გატარება, კრედიტის და გადასახადების ოპტიმალური სატარიფო განაკვეთების დაწესება; სახელმწიფოს ევალუა ბიზნესის სამართლებრივი უზრუნველყოფა ანუ ბაზრის პირობებში ეკონომიკურ აგენტებს შორის თამაშის წესების შემუშავება და დაცვა. ბიზნესის ნორმალური ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა, ასევე ხელსაყრელი სოციალური გარემო ანუ საზოგადოების კეთილმოსურნე დამოკიდებულება ბიზნესმენტა ფენისადმი და მათი წარმატებისადმი. საზოგადოებამ პოზიტიური შედეგი უნდა განიხილოს როგორც განსაკუთრებული ფასეულობა, ურომლისოდაც მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

ბიზნესის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების მსოფლმხედველობას, საბაზრო მენტალიტეტს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში უკვე გამოიკვეთა პოლიტიკური სტაბილიზაციის, საზოგადოებრივი წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცების გარკვეული დადებითი ნიშნები. ამიტომაცაა, რომ უფრო გააქტიურდა უცხოური კაპიტალის მოდინება. მაგრამ როგორც ეტყობა, ბევრი საზღვარგარეთელი ბიზნესმენისათვის საქართველო ისევ ეკონომიკურად სარისკო ზონად რჩება. არადა, დღეს უცხოური ინვესტიციების, ტექნიკის, ტექნოლოგიის, მმართველური ცოდნის გარეშე შეუძლებელია საქართველოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანა. გასათვალსწინებელია ეროვნულ ბიზნესმენტა 35 პროცენტის მოსაზრებაც, რომ მათს

საქმიანობას ხელს უშლიან სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოები. მართლაც, დღეს ბიზნესის საწარმოს (ფირმას) ამოწმებს ყველა, ვისაც არ ეზარება: პროკურატურა, საგადასახ დო უწყება და სხვა. ეს მაშინ, როცა ბაზრის პირობებში დამოუკიდებელი საქონელმწარმოებელი არავის არ ექვემდებარება. ამჟამად ცნებები ზემდგომი ორგანო, საწარმოების დაქვემდებარება საერთოდ ამოვარდნილია საკანონმდებლო ბრუნვიდან.

მაშასადამე, «ზემდგომმაც» და «ქვემდგომმაც» ღრმად უნდა გაიცნობიეროს, რომ საბაზრო ეკონომიკის დროს ბიზნესმენს არავინ მბრძანებლობს. ბიზნესს არეგულირებს კანონი. ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი სოციალური გარემოს ფორმირების თვალსაზრისით, აუცილებელია, ჯერ ერთი, საზოგადოების შეგნებაში ბიზნესის იდეოლოგიის მყარად დანერგვა, კერძო სექტორის პრესტიჟის ამაღლება და მეორე, ოფიციალურად ჯანსაღი, კონკურენციულ საწყისებზე ფუნქციონირებად განათლების სისტემაში მომზადებული ეროვნული კადრებით (მენეჯერი, მარკეტერი, დილერი და სხვა) ფირმების პროფესიული უზრუნველყოფა. სამწუხაროა, მაგრამ, ფაქტია, რომ საზოგადოების დიდ ნაწილში შეხედულებები და წარმოდგენები ჯერ კიდევ საბჭოურ რეჟიმში ჩამოყალიბებულ ფასეულობებზეა ორიენტირებული და აქ არაფერია გასაკვირი მოსახლეობის უმრავლესობა ხომ სოციალიზმის პირობებშია დაბადებული და აღზრდილი. საქმე ის არის, რომ მბრძანებლურ-გამანაწილებელ ეკონომიკაში ჩამოყალიბებული აზროვნების ტიპი ვერ ეგუება სხვათა გამდიდრებას და სიმდიდრეს: მე მზად ვარ ვიცხოვრო სიღარიბეში, ოღონდ ჩემი მეზობლებიც ასე უნდა ცხოვრობდნენ_ ასეთია ადამიანთა ერთი ნაწილის აზროვნებისა და მსჯელობის ტიპიური სქემა. ცხადია, ბიზნესმენს რომელსაც გააჩნია დიდი შემოსავალი, სიმდიდრე და შესაბამისი დონის ცხოვრება, ძალიან უჭირს ასეთ სოციალურ გარემოში ცხოვრება და საქმიანობა.

ბიზნესის საერთაშორისო სტანდარტების დონეზე სამართლებრივი უზრუნველყოფისათვის, საჭიროა, ასევე ბიზნესმენტა აზრის და ადგილობრივი თავისებურების გათვალისწინებით ბიზნესსაქმიან-

ნობის მარეგულირებელი ისეთი კანონების და კანონქვემდებარე აქტების, ანუ ბაზრის პირობებში ისეთი თამაშის წესების შემუშავება, რომელიც ინიციატივას კი არ ჩაახშობს, არამედ წახალისებს, ასევე ჩამოსულთ უცხოეთში არ აგრძნობინებს თავს. კანონი უნდა იცავდეს როგორც კერძო საკუთრებას, ისე მესაკუთრეს. ამასთან საჭიროა საიმედო გარანტიები, რომ სახელმწიფო არასოდეს მიმართავს მესაკუთრის მიმართ ძალადობის მეთოდებს და კონფისკაციას და თუ ამგვარი რამ მაინც მოხდა, სა- ხელმწიფო იკისრებს ზარალის კომპენსაციას და მაინც, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი მიზანია მიკროეკონომიკისათვის სასურველი ბიზნეს გარემოს შექმნა, სამეურნეო (ეკონომიკური) ცხოვრების იმდაგვარად მოწყობა, როგა ეკონომიკურად აქტიურ ადამიანს თავისუფლად შეუძლია წარმოების ფაქტორების (მიწა, შრომა, კაპიტალი) შექმნა და ბიზნეს საქმიანობის გაშლა. სრულფასოვანი ბიზნესის გარემო შრომის, საქონლის, ფინანსების ბაზრის და მათი მომსახურე ინსტიტუტების (შრომის ბირჟა, სასაქონლო ბირჟა, საფონდო ბირჟა) მთლიანი სისტემის არსებობას გულისხმობს. ასევე აუცილებელია ვალუტის კურსის სტაბილურობა და ქმედითი საგადასახადო-საკრედიტო მექანიზმი.

აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელი ფულადი პოლიტიკა მიმართულია არა ეროვნული ბიზნესის გაშლისაკენ, არამედ იმპორტის სტიმულირებისაკენ, არადა, რეალურად საჭიროა საქონლის შემოტანასთან შედარებით უპირატესობა მიენიჭოს «ნოუ-ჰაუს», ახალ ტექნოლოგიას, მენეჯერულ ცოდნას, რათა დაწინაურდეს საწარმოო ბიზნესი. ასევე აუცილებელია ფასზე ხელფასების მიბმა და ამ გზით მშრომელთა სოციალური დაცვა. ბიზნესის გააქტიურება-განვითარებაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება დაბეგვრის სისტემის სწორ ორგანიზებას. განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოხდეს გადასახადების სიდიდეების განსაზღვრა. რადგან არსებობს გადასახადის ზრდის ობიექტური ზღვარი, რომლის გადამეტება უკუპროცესს იძლევა, ამცირებს ბიუჯეტის შემოსავლებს, ბიზნესმენების მიერ შემოსავლების დამალვისა და დაბეგვრისაგან თავის არიდების გამო. მართლაც, თუკი ბიზნესის სფეროში კარგი შრომის შედეგს (მოგებას) მთლიანად სახელმწიფო წაიღებს,

მაშინ რაღა აზრი ექნება მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას? გაუმართლებელია ასევე, გადასახადების უზომოდ შემცირება, რამეთუ, იგი ამცირებს ბიუჯეტის შემოსავლებს და აღუნებს, აპასიურებს ბიზნესსაქმიანობას. მოკლედ, გადასახადი უნდა იყოს ოპტიმალური და სტაბილური, რათა დაინტერესდნენ არა მარტო ჩვენი, არამედ უცხოელი ბიზნესმენებიც. ამასთან გადასახადი უნდა ატარებდეს როგორც იძულებითობის, ისე დარწმუნებითობის ხასიათს. თუკი ბიზნესმენი პატიოსნად იხდის გადასახდს, მას მათხოვრები აღარ უნდა აკითხავდნენ, იმიტომ, რომ მის ფუნქციაში არ შედის მოქალაქეთა სოციალური დაცვა, ეს სახელმწიფოს ფუნქციაა. დიახ! ბიზნესის მთავარი დანიშნულებაა არა ქველმოქმედება, არამედ, ახალი მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგ ლების შექმნა, პროდუქციის და მომსახურების მოცულობის ზრდა, ხარისხის ამაღლება და ა. შ. სწორედ ამიტომ დავალებით, ბრძანებებით ქველმოქმედება არ შეიძლება, რამეთუ, იგი (ქველმოქმედება) დამოკიდებულია ბიზნესმენის არა მარტო მატერიალურ, არამედ სულიერ სიმდიდრეზეც. საგადასახადო შეღავათების დაწესებისას კი იქიდან უნდა გამოვიდეთ, თუ რა უფრო უჭირს სახელმწიფოს: მოსახლეობის გამოკვება, ჩაცმა- დახურვა, გათბობა, დაცვა თუ სხვა.

მაშასადამე, სახელმწიფომ ვინც უფრო საშურ პროდუქციას აწარმოებს, შეღავათებიც იმას უნდა მისცეს. ბიზნესის განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა ასევე, წარმოების ზრდაზე ორიენტირებული ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის გატარება, რომლის აუცილებლობაც ნაკარნახევია კერძო სექტორზე გაცემული მთლიანი სესხების არარაციონალური დარგობრივი სტრუქტურით. მაგალითად, ერთ-ერთი წლის საკრედიტო დაბანდების ყველაზე დიდი ხვედრითი წილი 48,5% ანუ 239.8 მლნ ლარი ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებს უკავია, რაც წლის დასაწყისიდან 71.2 მლნ ლართაა გაზრდილი და რაც «ჩემოდნის ბიზნესის» ფართოდ გავრცელებაზე მეტყველებს. მრეწველობის ხვედრითი წილი მთლიან საკრედიტო პორტფელში 17.6%-ს ანუ 86.9 მლნ ლარს უდრის. დიდი ხვედრითი წილი _ 23.3%. ანუ 114.7 მლნ ლარი უკავია ვაჭრობაზე გაცემულ კრედიტებს. საკრედიტო პორტფელში მცირეა სოფლის მეურნეობის და მშენებლობაზე გაცემული

სესხების ხვედრითი წილი, რომელიც შესაბამისად 2.7%-სა და 4.2%, ანუ 13.3 და 20.7 მლნ ლარს შეადგენს. ეს მაშინ, როდესაც საქართველო ტრადიციულად აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა, რადგანაც ამ დარგებშია დასაქმებული შრომითი რესურსების ნახევარზე მეტი და აქ იქმნება მ.შ.პ-ის უდიდესი ნაწილი. აი, ასეთი წინააღმდეგობრივია და ხელოვნურად სარისკოა ის ბიზნესის გარემო, რომელშიდაც ფეხს იდგამს ეროვნულ ბიზნესმენტა ახალი ფენა. სახელმწიფოს ვალია მოხსნას ზემოთ განხილული ბარიერები და ამით დააჩქაროს საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და საბაზრო ურთიერთობების სრულყოფის პროცესი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. ნანიტაშვილი. კონკურენტუნარიანობის პრობლემები სამომხმარებლო ბაზარზე. თბ., 2009.
2. უ. სამადაშვილი. ბიზნესის საფუძვლები (ლექციების კურსი). თბ., 2005.
3. ო. ქეშელაშვილი. ბიზნესური ეკონომიკა. თბ., «არეალი». 2010.
4. მ. ქირთაია. ბიზნესის ეთიკა. თბ., 2004.
5. თ. შენგელია. თანამედროვე ბიზნესის საფუძვლები (ნაწ. I). თბ., 2007.
6. გ. შუბლაძე, ბ. მღებრიშვილი, ფ. წოწკოლაური. მენეჯმენტის საფუძვლები. თბ., «უნივერსალი». 2008.

კაკაურიძე ნათელა

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
სახელმწიფოს როლი ბიზნესის გარემოს ჩამოყალიბებაში

რეზიუმე

ნაშრომში აღნიშნულია, რომ ქვეყანაში ბიზნესის ნორმალური ფუნქციონირებისათვის სახელმწიფომ უნდა შექმნას ბიზნესის ჩამოყალიბება-განვითარების ხელსაყრელი გარემო-პირობები: ქვეყანაში უზრუნველყოს პოლიტიკური სტაბილიზაცია, სიმშვიდე, წესრიგი და დისციპლინა, დაცული უნდა იქნეს ბიზნესმენტის ქონება და ტვირთი ტრანსპორტირებისას, უზრუნველყოს კონკურენტული გარემო, ვალუტის სიმტკიცის დაცვა, ინფლაციის მოთოკვა, ანტიმონოპოლიური და

დემონოპოლიური ღონისძიებების გატარება, კრედიტის და გადასახადების ოპტიმალური სატარიფო განაკვეთების დაწესება, ბიზნესის სამართლებრივი უზრუნველყოფა ანუ ბაზრის პირობებში ეკონომიკურ აგენტებს შორის თამაშის წესების შემუშავება და დაცვა.

Какауридзе Натела,

академик Академии наук туризма Грузии

Роль государства в формировании бизнес среды

Резюме

В труде отмечается, что для нормального функционирования бизнеса в стране государство должно создать благоприятную среду и условия для создания и развития бизнеса: обеспечить политическую стабильность в стране, мир, порядок и дисциплину, должны быть защищены имущество и грузы бизнесмена, должна быть обеспечена конкурентная среда, защита прочности валюты, сдерживание инфляции, проведение антимонопольных и демомонопольных мероприятий, установление налоговых льгот и оптимальных тарифных ставок, правовое обеспечение бизнеса или в рыночных условиях разработка и защита правил игры между экономическими агентами.

Kakauridze Natela

Academician of the Georgian Academy of Sciences of Tourism

The role of the state in the formation of the business environment

Summary

The paper noted that the normal business operation of the state should set up a business in the formation and development of a favorable environment and conditions for the country to ensure political stability, peace, order and discipline must be respected businessman, property and cargo transportation, to provide a competitive environment, currency strength protection, Nplatsiis urge antitrust and demonopoliuri measures, tax credits and optimal tariff rates, the provision of legal business or market conditions between economic operators and the rules of protection.

კაკაშრიძე მარინა

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

მენეჯმენტი, როგორც მართვის მეცნიერება და ხელოვნება

ბიზნესის სფეროში წარმატებები ბევრადაა დამოკიდებული მართვის თეორიისა და დაგროვებული პრაქტიკული გამოცდილების ცოდნასა და მათ სწორად გამოყენებაზე.

მენეჯმენტი ჩამოყალიბდა ცოდნის დამოუკიდებელ დარგად, მეცნიერებად XX საუკუნეში. იგი შედარებით ახალი მეცნიერებაა და მის სამშობლოდ ითვლება აშშ. (1. მენეჯმენტის შესახებ ლიტერატურის ავტორები უმთავრესად ამერიკელებია. ყველაზე კარგ სახელმძღვანელოდ აღიარებულია რუსულ ენაზე თარგმნილი წიგნი - Мескон М., Альберт М., Хедоური Ф. „Основы менеджмента“, М, 1992.). მენეჯმენტი ცალკე დისციპლინაა, უფრო ზუსტად, დისციპლინათაშორისი დარგია, რომელსაც უწოდებენ „მმართველობით აზრს“. მასში ჰარმონიულად შერწყმულია მმართველობითი ხელოვნებით გამდიდრებული მეცნიერება, გამოცდილება, „ნოუ-ჰაუ“.

მენეჯმენტის მნიშვნელობა განსაკუთრებით ნათლად წარმოჩნდა გასული საუკუნის 30-იან წლებში. ეს ის პერიოდი, როდესაც შეიქმნა გიგანტური კორპორაციები, რომლებიც ფლობდნენ უზარმაზარ ეკონომიკურ, საწარმოო, მეცნიერულ-ტექნიკურ პოტენციალს, რამაც დასაბამი მისცა „მენეჯერთა რევოლუციას“. მენეჯმენტს, როგორც მეცნიერებას გააჩნია შესწავლის თავისი საგანი, თავისი სპეციფიკური პრობლემები და მათი გადაწყვეტის მეთოდები (მიდგომები). ამ მეცნიერული დისციპლინის საფუძველს შეადგენს მართვის შესახებ საუკუნეების მანძილზე დაგროვილი პრაქტიკული ცოდნა, მართვის კონცეფციები, წესები და ფორმები. მენეჯმენტის შინაარსი ის არის, რომ იგი ავლენს მართვის კანონებსა და კანონზომიერებებს, რომელთა საფუძველზეც ყალიბდება მართვის თეორია.

მენეჯმენტის შესწავლის საგანია მართვის ურთიერთობები ანუ ურთიერთობები ადამიანებს შორის მართვის პროცესში. ეს ურთიერ-

თოხები მრავალწახნაგოვანია. ისინი გამოხატავენ არა მარტო ეკონომიკურ, არამედ, აგრეთვე, გარკვეული ზომით საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ფსიქოლოგიურ, სამართლებრივ ურთიერთობებსაც. მაგრამ ძირითადი მაინც ეკონომიკური ურთიერთობებია და მენეჯმენტი განეკუთვნება ეკონომიკურ მეცნიერებათა კატეგორიას. მენეჯმენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა მმართველობითი (სამმართველო) შრომის შინაარსის გარკვევა, მიზეზსა და შედეგს შორის კავშირის დადგენა, ფაქტორებისა და პირობების გამოვლენა, რომლებიც უფრო სასარგებლოს და უფრო ეფექტიანს ხდის ადამიანთა ერთობლივ შრომას. მენეჯმენტის როგორც მეცნიერების განსაზღვრაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მართვის შესახებ ცოდნათა სისტემაში მოყვანას. მენეჯმენტი ხელს უწყობს არა მარტო მიმდინარე საქმეების ოპერატიულად და ხარისხიანად მართვას, არამედ მოვლენათა განვითარების პროგნოზირებას და ამის შესაბამისად ორგანიზაციების (ფირმების) სტრატეგიისა და პოლიტიკის დამუშავებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მენეჯმენტი, როგორც მართვის მეცნიერება შეიმუშავებს თავის თეორიას, რომელიც ასახავს მართვის პროცესში ადამიანთა მიზანმიმართული საქმიანობის კანონებსა და კანონზომიერებებს, პრინციპებს, ფუნქციებს, ფორმებს და მეთოდებს.

მენეჯმენტის როგორც მართვის მეცნიერების მეთოდოლოგია სხვა საზოგადოებრივ (ჰუმანიტარულ) მეცნიერებათა ანალოგიურია. მენეჯმენტის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველია ფილოსოფია, ზოგადი ეკონომიკური თეორია(პოლიტიკური ეკონომია) და კიბერნეტიკა. შემეცნების პროცესში იგი იყენებს ინდუქციის და დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის, ინტერპოლიაციისა და ექსტრაპოლიაციის და სხვა მეთოდებს. მართვა მოიცავს ფირმის (ორგანიზაციის) როგორც სოციალურ-ეკონომიკურ, ისე ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარეებს. ამიტომ ბუნებრივია, რომ მართვის პრაქტიკული პრობლემების გამოკვლევისა და განზოგადებისას ერთ-ერთი მეთოდოლოგიური საფუძველია სისტემური მიდგომა.

ორგანიზაციები (საწარმოების, ფირმები, კომპანიები) რთული დინამიკური სისტემებია. ამ სისტემების ფარგლებში მართვის ურთიერთობათა შესწავლისათვის აუცილებელია სისტემური ანალიზის მეთოდის გამოყენება. ამასთან მართვის სისტემა განიხილება როგორც ურთიერთდაკავშირებული ერთიანი მთლიანობა, რომელშიც შეხამებულია ორგანიზაციის მიზნები, მართვის პრინციპები, ფუნქციები, მეთოდები, პერსონალი, სტრუქტურა, ტექნიკა და პროცესები. შეუძლებელია მართვის პრობლემების გადაწყვეტა სისტემის ელემენტების თავისებურებების, სხვა სისტემებთან კავშირების გათვალისწინების გარეშე. შემცნების დასახელებულ მეთოდებთან ერთად, რომლებიც საერთოა ბევრი მეცნიერებისათვის, მენეჯმენტი, როგორც მართვის მეცნიერება, აგრეთვე იყენებს მისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ მეთოდებს. ესენია მოდელირება და სოციოლოგიური გამოკვლევები. მართალია მართვის ყველა ასპექტი არ ექვემდებარება მოდელირებას, მაგრამ ბევრი ამოცანის გადასაწყვეტად ეს მეთოდი ერთ-ერთი ქმედითი მეთოდია. რაც შეეხება სოციოლოგიურ გამოკვლევებს, ორგანიზაციებში ფართოდ გამოიყენება ადამიანთა ურთიერთობების რთული საკითხების შესწავლისას.

მენეჯმენტი როგორც მართვის ხელოვნება ნიშნავს მართვის თეორიის, აგრეთვე, მენეჯმენტის დარგში დაგროვილი მოწინავე გამოცდილების შემოქმედებით გამოყენებას ორგანიზაციის პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტის დროს. როგორც აღინიშნა, ორგანიზაციები რთული სოციალურ-ტექნიკური სისტემებია, რომელთა ფუნქციონირებაზე ზემოქმედებენ როგორც შიგა, ისე გარე გარემოს მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ფაქტორები. ორგანიზაციის ეფექტიანი საქმიანობის მთავარი ფაქტორი ადამიანებია, რომლის გათვალისწინება მოითხოვს არა მარტო მეცნიერულ მიდგომას, არამედ მისი გამოყენების ხელოვნებას კონკრეტულ სიტუაციებში. თითოეულ მუშაკს ახასიათებს ქცევის განსაკუთრებული მანერა, გააჩნია ფასეულობებისა და შრომისადმი მოტივაციის თავისი სისტემა და ა.შ. მენეჯმენტი მოგვარონებს მედიცინას, რომელიც მომავალ ექიმს აძლევს განათლებას და არა კონკრეტულ ცოდნას როგორ უმკურნალოს კონკრეტულ ავადმყოფს.

მენეჯმენტის საფუძვლების (მეცნიერული ცოდნის) დაუფლება მენეჯერს დიდად ეხმარება პირადი თვისებების განვითარებასა და ხელმძღვანელობის სტილის დახვეწაში, რომ წარმატებით შეასრულოს პრაქტიკულად მმართველობითი (სამმართველო) მუშაობა. იმისათვის, რომ ორგანიზაციაში მომუშავე ადამიანებმა თავიანთი ძალისხმევა წარმართონ მიზნების მისაღწევად, მენეჯერები მუდმივად უნდა იყვნენ ურთიერთკავშირში მათთან და შექმნან პირობები მუშაკთა პოტენციალის სრულად გამოვლინებისა და გამოყენებისათვის. ამოცანა ის არის, რომ ბიზნესის სფეროს მომავალი სპეციალისტები კარგად დაეუფლონ მენეჯმენტს როგორც მართვის მეცნიერებას და შემოქმედებითად გამოიყენონ იგი პრაქტიკულ მუშაობაში.

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში დიდი ყურადღება ექცევა მენეჯერების მომზადებასა და გადამზადებას. საინტერესოა აღინიშნოს, რომ პირველი უმაღლესი სასწავლებლები, რომლებმაც დაიწყეს მართვის სპეციალისტების მომზადება, ერთდროულად წარმოიშვნენ აშშ-სა და ევროპაში. ეს იყო 1881 წელს, როდესაც ბიზნესის პირველი ამერიკული სკოლა შეიქმნა პენსილვანიის უნივერსიტეტთან და უმაღლესი კომერციული სკოლა - საფრანგეთში. ამჟამად მენეჯერების მომზადებისა და გადამზადების ფართო ქსელია აშშ-სა და სხვა ქვეყნებში.

აშშ-ში მენეჯერებს ამზადებენ უნივერსიტეტებთან არსებულ ბიზნესის სკოლებში, რომელთა რაოდენობა 1300-ს აღემატება, მათ შორის 600 მოქმედებს დამოუკიდებლად. ქვეყანაში ფუნქციონირებს 10 ათასზე მეტი საკონსულტაციო ფირმა, რომლებიც კონსულტაციას უწევენ ბიზნესისა და მენეჯმენტის საკითხებით დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს. ამ საკითხებზე ლიტერატურას უშვებს 70-ზე მეტი პერიოდული გამოცემა და 10-ზე მეტი გამომცემლობა. აშშ პირველ ადგილზეა მსოფლიოში ბიზნესისა და მენეჯმენტის სფეროს მკვლევართა რაოდენობით, გამოკვლევების მოცულობით და საერთოდ ამ მიმართულებით დახარჯული სახსრების ოდენობით. აშშ-ში ბიზნესისა და მენეჯმენტის სფეროში განათლების სისტემა სამსაფეხურიანია. ამ სპეციალობით უნივერსიტეტში ან კოლეჯში სწავლება ოთხწლიანია. კურსდამთავრებული იღებს ბაკალავრის ხარისხს. ამასთან 2 წლის შემდეგ

შიდღება განათლების მიღების შეწყვეტა სათანადო საბუთის აღებით. საბუთი აძლევს მის მფლობელს განსაზღვრული თანამდებობების დაკავების უფლებას. ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდეგ მსურველები სწავლობენ მაგისტრატურაში 2 წლის განმავლობაში. მაგისტრის მომზადება ხორციელდება შემდეგი პროგრამებით: „საქმიანი ადმინისტრირების მაგისტრი“, „მართვის მეცნიერების მაგისტრი“, „საერთაშორისო მენეჯმენტის მაგისტრი“ და სხვ. მაგისტრის პროგრამაზე აშშ-ში ძირითადად 25-30 წლის ასაკში ეწყობიან, როცა მათ ბაკალავრის ხარისხთან ერთად აქვთ არანაკლებ 2 წლის მუშაობის სტაჟი. მაგისტრის ხარისხი არ არის სამეცნიერო ხარისხი. იგი შიდაა ითქვას „პროფესიული ხარისხია“. მესამე საფეხურზე სწავლა 3-4 წელიწადს გრძელდება პროგრამებით, რომელთა დაუფლება მსმენელს აძლევს საშუალებას მიიღოს ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი. მაგისტრის ხარისხი პროფესიულია, დოქტორისა კი - სამეცნიერო. მაგისტრის პროგრამაზე სწავლა აშშ-ის წამყვან უნივერსიტეტებში წელიწადში დაახლოებით 15 ათასი დოლარი ღირს, უფრო ძვირია დოქტორის ხარისხის მიღება.

მენეჯერების მომზადების განსხვავებული სისტემა იაპონიაში. აქ ბიზნესის რამდენიმე სკოლა ფუნქციონირებს. ბიზნესის სკოლებში ძირითადად სწავლობს ის, ვინც საზღვარგარეთ მუშაობას აპირებს. მენეჯერებს ამზადებენ თვითონ ფირმები. განათლების მიღება ხდება „გამოცდილების საშუალებით სწავლების“ კონცეფციის საფუძველზე. თანამშრომელთა გადაადგილება გეგმაზომიერად ხდება თანამდებობიდან თანამდებობაზე. ასეთი სწავლების მიზანია ფირმის საქმიანობის ყველა მხრის ძირფესვიანად შესწავლა. იაპონურ ფირმებში ყველა სწავლობს, მუშით დაწყებული და პრეზიდენტით დამთავრებული. სწავლებაზე პასუხისმგებლობა აკისრიათ ძირითადად ქვედანაყოფის ხელმძღვანელებს. ბიზნესის სკოლები ევროპის ქვეყნებშიც ფუნქციონირებს, მაგრამ მაგისტრის ხარისხი ბიზნესის სფეროში არ არის ისე გავრცელებული როგორც აშშ-ში. ევროპულ სკოლებში რამდენადმე უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარმოებასთან მიახლოებას, სოციალური, სახელმწიფო და საერთაშორისო ასპექტების შესწავლას ბიზნესისა და მენეჯმენტის სფეროში.

საქართველოში ბიზნესისა და მენეჯმენტის სპეციალისტების მომზადება პირველად დაიწყო(1989 წ.) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სპეცფაკულტეტზე“ - ბიზნესის უმაღლეს სკოლაში (1996 წლიდან საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტი) ამერიკული სასწავლო პროგრამების მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ში, იაპონიას და ევროპის ქვეყნებში დღეს საკითხი დგას ე.წ. „გლობალური მენეჯერის“ მომზადების შესახებ, რომელსაც ძალუმს არაორდინალურ და რთულ სიტუაციებში მოქმედება. ამას მოითხოვს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის განვითარებისა და გლობალიზაციის ამოცანები.

საერთაშორისო ბიზნესის განვითარება მჭიდროდ დაუკავშირდა გლობალური მართვის პრობლემებს XX საუკუნის 70-80 წწ. მიჯნაზე, როდესაც საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების მასშტაბების ზრდამ და სირთულეებმა აიძულა მსოფლიოს მსხვილი კომპანიები რადიკალურად გადაესინჯათ თავიანთ საწარმოთა მენეჯმენტის ფილოსოფია, ორგანიზაციული ფორმები და მეთოდები. ამ დროისათვის ბევრი ქვეყნის (პირველ რიგში აშშ, იაპონიის და დასავლეთ ევროპის) ტრანსნაციონული კომპანიები გადაიქცნენ ურთულეს სამეურნეო წარმონაქმნად, რომლებიც მოიცავენ მსოფლიოს ბევრ რეგიონში ბაზრისა და მოგებისათვის მწვავე ბრძოლაში ჩაბმულ სხვადასხვა საწარმოს. მრავალ ქვეყანაში, სადაც კომპანიებს გააჩნიათ თავიანთი საწარმოები (ფირმები), საჭიროა სპეციფიკური მიდგომები აქ წარმოშობილი პრობლემების მთელი კომპლექსის გადასაწყვეტად. მეცნიერები და სპეციალისტები იყენებენ გლობალური მენეჯმენტის პრობლემების გადაწყვეტის სხვადასხვა ვარიანტს, კერძოდ, ყურადღებას ამახვილებენ ორ მათგანზე: 1. გლობალური კორპორაციების ფორმირება; 2. სტრატეგიული კავშირებისა (ალიანსებისა) და დინამიკური ქსელის შექმნა.

გლობალური მართვის პრობლემების გლობალური კორპორაციების ფორმირების გზით გადაწყვეტის იდეის აქტიური პროპაგანდა დაიწყო აშშ-ში XX ს-ის 80-იანი წლების შუა პერიოდში საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენციის მკვეთრად გამწვავებასთან დაკავშირებით. მაგალითად, კომპანია „კოკა-კოლა“ გახდა გლობალიზაციის პიონერი

უალკოჰოლო სასმელების ინდუსტრიაში. ამ გზით წავიდა ბევრი უმსხვილესი ფირმა სატელევიზიო და საავტომობილო მრეწველობაში, ტელეკომუნიკაციებისა და ნახევარგამტარებისა და სხვა დარგებში. ამ საქმეში ჩაერთვნენ საკონსულტაციო ფირმები და ბიზნეს-სკოლები, რომლებმაც დაიწყეს „ხვალინდელი დღის გლობალური მენეჯერების“ მომზადება შესაბამისი სასწავლო პროგრამებით. გლობალური კორპორაციების გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობა ემყარება მათ უნარს, გააერთიანონ დაქსაქსული საწარმოები მთლიან სისტემად საერთო ამოცანებითა და განვითარების სტრატეგიით. ეს დასტურდება იმ კომპანიების გამოცდილებით, რომლებიც წლების განმავლობაში ახორციელებენ გარდაქმნებს გლობალიზაციის მიმართულებით. სპეციალისტები აღიარებენ, რომ გლობალიზაცია რთული და შრომატევადი პროცესია. ერთ-ერთ ასეთ ფორმას, რომელიც მსოფლიოში სწრაფად ვრცელდება, წარმოადგენს სტრატეგიული კავშირები. ასეთ კავშირებში შედიან სხვადასხვა რეგიონისა და ქვეყნის კომპანიები ძალისხმევისა და კოორდინაციის მიზნით როგორც საშინაო, ისე მსოფლიო ბაზრებზე. კავშირის მიზანია ფინანსური, ტექნიკური და მატერიალურ ძალისხმევათა გაერთიანება მსხვილი და სარისკო პროექტების რეალიზაციისა და მსოფლიო ბაზარზე კომპანიათა კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის. სტრატეგიული კავშირებისა და ბიზნესის ქსელის განვითარება მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობს ეკონომიკურ ინტეგრაციას საერთაშორისო დონეზე. ამის მაგალითია საერთო ევროპული ბაზრის (კავშირის) შექმნა. საქართველოს საწარმოებმა, რომლებიც გავლენ საერთაშორისო ბაზრებზე, უნდა გამოიყენონ ბიზნესისა და მენეჯმენტის გლობალიზაციის გამოცდილება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., აბრალავა ა. მენეჯმენტი და ადმინისტრირება, თბ., 2007.
2. პაიჭაძე ნ. პერსონალის მართვა, თბ., 2003.
3. ტულუში მ., ყირიმლიშვილი ნ. მენეჯმენტის საფუძვლები (ლექციების კურსი), თბ., 2005.

4. შუბლაძე გ. მენეჯმენტისა და მარკეტინგის ურთიერთკავშირის საკითხისათვის, ჟურნ. „კომერსანტი“, 13(4), 2007.

5. შუბლაძე გ. საბაზრო ეკონომიკის აქტუალური საკითხები, თბ., 2004.

კაკაურიძე მარინა

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
მენეჯმენტი, როგორც მართვის მეცნიერება და ხელოვნება

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია მენეჯმენტის, როგორც მეცნიერების შესწავლის საგანი, თავისი სპეციფიკური პრობლემები და მათი გადაწყვეტის მეთოდები (მიდგომები). ამ მეცნიერული დისციპლინის საფუძველს შეადგენს მართვის შესახებ საუკუნეების მანძილზე დაგროვილი პრაქტიკული ცოდნა, მართვის კონცეფციები, წესები და ფორმები. აღნიშნულია მენეჯმენტის შინაარსი, რომ იგი ავლენს მართვის კანონებსა და კანონზომიერებებს, რომელთა საფუძველზე ყალიბდება მართვის თეორია.

Какауридзе Марина

академик Академии наук туризма Грузии
Менеджмент как наука и творчество управления

Резюме

В работе рассматривается управление как предмет изучения науки, ее конкретные проблемы и методы их решения (подходы). Основой этой научной дисциплины являются практические знания, концепции управления, правила и формы, накопленные на протяжении веков. Содержание руководства заключается в том, что оно управляет законами и правилами, регулирующими управление теорией.

Kakauridze Marina

Academician of the Georgian Academy of Sciences of Tourism
Management as a science and creativity of management

Summary

The work deals with management as its subject of study of science, its specific problems and their solution methods (approaches). The basis of this scientific discipline is practical knowledge, management concepts, rules and forms accumulated over the centuries. The content of the management is that it manages the laws and regulations governing the management of the theory.

კაკაურიძე ნათელა

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

მცირე ბიზნესის საწარმოთა ფუნქციონირების თავისებურებები

მცირე ბიზნესის საწარმოთა ფუნქციონირება მსხვილი კომპანიებისაგან განსხვავდება არა იმდენად ჩამოთვლილი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით, რამდენადაც თვით ბიზნესის ორგანიზაციისადმი მიდგომის თავისებურებებით: - მცირე ბიზნესში პერსონალის მცირე რიცხოვნობის გამო სუსტად არის წარმოდგენილი შესასრულებელ ფუნქციათა სპეციალიზაცია. მაგალითად, კადრების განყოფილების შექმნა საწარმოში სადაც პერსონალის რიცხოვნობა 5-10-50 კაცს შორის მერყეობს მიზანშეწონილი არ არის. როგორც ოპერატიული, ისე სტრატეგიული ფუნქციების უმეტეს რაოდენობას ასრულებს ხელმძღვანელი - საწარმოს მესაკუთრე. ამიტომ ასეთ საწარმოში, როგორც წესი, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ სამმართველო გადაწყვეტილებების მიღების მხოლოდ მცირე, ერთ-ორ კაციანი, ჯგუფი (ცენტრი), ასევე, არსებული რესურსების სიმცირის გამო, საწარმოს დაგეგმვის პერიოდი მნიშვნელოვნად შემცირებულია. პრაქტიკით დადგენილია პირდაპირი

ურთიერთდამოკიდებულება საწარმოს ზომასა და სამმართველო გადაწყვეტილებების მიღებას შორის. რაც უფრო მცირეა საწარმოს ზომა, მით ნაკლებია გადაწყვეტილების მიღების ციკლი და პირიქით. - როგორც ცნობილია, მცირე ბიზნესის საწარმოში შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა კადრების შერჩევის სისტემას, უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელთა რიცხვისა და კონტროლის სისტემის მოწყობას. ასევე, ნელი ტემპით (ევოლუციური, თვითგანვითარებადი გზით) ხორციელდება მცირე საწარმოს საშუალო ან მსხვილ საწარმოდ ტრანსფორმაციის პროცესი, ყალიბდება საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა, ჩნდება პერსონალის მართვის სისტემა, ინერგება საწარმოს საწარმოო და ფინანსური საქმიანობის დაგეგმვა, იწყება სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ - საკონსტრუქტორო სამუშაოების განხორციელება. ამ და სხვა ღონისძიებების გატარების შედეგად მაღლდება პროდუქციის მომსახურების ხარისხი, ფართოვდება მასალების ბაზარი და სხვა, რაც იწვევს საწარმოს მასშტაბების გაფართოებას.

საწარმოს სტრუქტურულ და ორგანიზაციულ ცვლილებებსა და მის ფინანსურ-ეკონომიკურ და საწარმოო წარმატებებს შორისაც პირდაპირი კავშირი არსებობს. იგი გამოისახება შემდეგი სქემით: საწარმოს მასშტაბების ზრდა ორგანიზაციული სტრუქტურის გარდაქმნა წარმოების მასშტაბების ზრდა. ზემოთაც ითქვა და გავიმეორეთ, რომ თანამედროვე მსხვილი და უმსხვილესი კომპანიების არც თუ მცირე ნაწილი სწორედ მცირე საწარმოებიდან ევოლუციური, თვითგანვითარებადი გზით არის წარმოშობილი, მაგალითად: IBM, Microsoft, Macdonald's და სხვები. - მცირე ბიზნესის საწარმოთა მთავარ თავისებურებას წარმოადგენს ეკონომიკური გარემოს ნებისმიერი ცვლილებებისადმი მათი დიდი მგრძობელობის უნარი. რამდენადაც საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელია განვითარების ციკლური ხასიათი, ამდენად, მცირე საწარმოს გადარჩენის პრობლემა ისეთი რეზერვების არსებობა, რომ გადაიტანოს დაცემის პერიოდი და დაელოდოს ბაზრის გამოცოცხლებისა და აღდგენის პერიოდს. მაგალითად, მცირე საწარმო, რომელიც 17 ახორციელებს სამშენებლო მასალების რეალიზაციას, მკვეთრად არის გამოხატული საბაზრო ციკლის შემდეგი სტრუქტურა: მოთხოვნის

ამაღლება აპრილი – ნოემბერი, დაცემა დეკემბერი – მარტი. საწარმოს გადარჩენის პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მან უნდა დააგროვოს მოგების (შემოსავლის) საკმარისი თანხა აღმავლობის პერიოდში: ხელფასი, არენდის გადასახადი, გადასახადები და სხვა. - მცირე საწარმოს არ გააჩნია დიდი მოცულობის რესურსები, ამიტომ მის განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს მუდმივი ხარჯების დონის ცვლილებებისადმი მაღალი მგრძობელობა. მაგალითად, თუ მსხვილ კომპანიაში, სადაც რომელიღაც პროდუქციის წარმოება 10 000 ერთეულია და ერთი თანამშრომლის დაქირავებას – 100,15 დოლარიანი ხელფასით, მოჰყვება ერთეული პროდუქციის ფასის 0,15 დოლარით გაზრდა. ამავე დარგის მცირე საწარმოში, სადაც საშუალოდ თვეში აწარმოებენ 100 ერთეულ პროდუქციას, ერთი პერსონალის დაქირავება (იმავე რაოდენობის ხელფასით) გამოიწვევს პროდუქციის ფასის 15 დოლარით გაზრდას. - მცირე ბიზნესის საწარმოთა თავისებურებას წარმოადგენს გაკოტრების (ბანკროტობის) მნიშვნელოვანი რაოდენობა.

უცხოეთის ქვეყნების პრაქტიკით დადგენილია, რომ მცირე საწარმოთა, თითქმის, 50% იხურება საქმიანობის დაწყებიდან პირველ-ორ წელს, ხოლო წარმატებას აღწევს მხოლოდ 15%. ამავე დროს, ცნობილია, რომ ბანკროტობის პროცესი საბაზრო ეკონომიკური მექანიზმის ფუნქციონირების განუყოფელი, ბუნებრივი ნაწილია. მისი მეშვეობით ეკონომიკა იშორებს წამგებიან და არაეფექტურ საწარმოებს და თავისუფლდება მათგან. იმისათვის, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს ეკონომიკური სისტემის მდგრადი განვითარება, მან პოტენციურ მეწარმეებს არ უნდა ჩაუკლას საკუთარი ბიზნესის გახსნის სურვილი, ამიტომ ბევრი ქვეყნის ხელისუფლება ცდილობს, ბანკროტობის პროცედურა გახადოს მეწარმეთათვის ნაკლებმტკივნეული. ამ თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია, გამოინახოს საქმიანი აქტიურობის სტიმულირებასა და მეწარმის მინიმალურ პასუხისმგებლობას შორის რაციონალური ბალანსი. ეს საშუალებას მისცემს საზოგადოებას თავიდან აიცილოს ეკონომიკური რესურსების გამოყენების არასასურველი ექსპერიმენტები და მიაღწიოს მიკროკრიზისების რაოდენობის შემცირებას - კომპანიების ბანკროტობის ფორმით. მცირე საწარმოთა ზემოთ აღწერილი

განმასხვავებელი თავისებურებები გვიჩვენებს მცირე ბიზნესის ფუნქციონირების ყველაზე მნიშვნელოვან თავისებურებებს. 4. მცირე ბიზნესის დადებითი და უარყოფითი მხარეები საზღვარგარეთული და სამამულო გამოცდილების ანალიზის შედეგად დადგენილია, რომ მცირე ბიზნესის საწარმოებს ახასიათებს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. დადებითი მხარეებია; - ადგილობრივ პირობებთან იოლი ადაპტაცია; - მცირე საწარმოთა მოქმედების დიდი დამოუკიდებლობა, მოქნილობა და მიღებულ გადაწყვეტილებათა მიღებასა და შესრულებაში ოპერატიულობა; 18 - საქმიანობის განხორციელების (განსაკუთრებით მართვის დროს) შედარებით დაბალი ხარჯები; - ინდივიდის დიდი შესაძლებლობა - რეალიზაცია გაუკეთოს თავის იდეებს, გამოავლინოს თავისი უნარი; - პირველსაწყის კაპიტალზე შედარებით მცირე მოთხოვნილება და ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის საპასუხოდ სწრაფი ცვლილებები პროდუქციასა და წარმოების პროცესში; - საკუთარი კაპიტალის უფრო მაღალი ბრუნვადობა და სხვა.

საერთაშორისო ბიუროს (აშშ) მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მცირე და საშუალო საწარმოებს, მსხვილ კომპანიებთან შედარებით, გააჩნიათ მნიშვნელოვანი კონკურენციული უპირატესობები: ერთ მუშაკზე გაანგარიშებით თხოულობენ ნაკლებ კაპიტალდაბანდებებს და ფართოდ იყენებენ ადგილობრივ მატერიალურ და შრომით რესურსებს. მცირე ბიზნესის მფლობელები უფრო მეტად მიილტვიან სახსრების დაზოგვისაკენ და ორიენტირებულნი არიან ინვესტირებაზე, წარმატების მიღწევაში მათ ყოველთვის პირადი მოტივაციის მაღალი დონე აქვთ, რაც დადებითად მოქმედებს საწარმოს საქმიანობაზე, მთლიანად. მცირე ბიზნესი უკეთესად არის ინფორმირებული ადგილობრივი (ლოკალური) ბაზრის მოთხოვნის შესახებ, ხშირად საქონელს აწარმოებს კონკრეტული მომხმარებლის შეკვეთით, დაქირავებული მუშების მნიშვნელოვან რაოდენობას არსებობის საშუალებას აძლევს. მცირე ბიზნესი მსხვილ საწარმოებთან შედარებით ხელს უწყობს უმუშევარი მოსახლეობის დასაქმების ზრდას, და პროფესიონალი მუშაკების მომზადებასა და პრაქტიკული ცოდნის გავრცელებას. მცირე ბიზნესს, მსხვილთან შედარებით, ცალკეულ ქვეყნებში უკავია დომინირებული მდგომარეობა,

როგორც რიცხოვნობით, ისევე საქონლის (შესრულებული სამუშაოს, მომსახურების) წარმოების ხვედრითი წონის მიხედვით. მაგრამ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მცირე ბიზნესს ახასიათებს გარკვეული უარყოფითი მხარეებიც, რომელთა შორისაა: - რისკის უფრო მაღალი დონე, რაც განაპირობებს ბაზარზე მდგომარეობის ნაკლებ სიმყარეს; - მსხვილ კომპანიებზე დიდი დამოკიდებულება; - თავისი საკუთარი საქმის მართვაში დაშვებული შეცდომები; - ხელმძღვანელთა სუსტი კომპეტენტურობა, მეურნეობრიობის პირობების ცვლილებებისადმი ამაღლებული მგრძობელობა; - დამატებითი ფინანსური სახსრების სესხებაში და კრედიტების მიღებაში სიმწელებები; - სამეურნეო პარტნიორობის ნაკლები თვითდაჯერებულობა, ხელშეკრულებების დადებისას სიფრთხილე და სხვა; რა თქმა უნდა, მცირე ბიზნესის სუბიექტების უარყოფითი მხარეები და წარუმატებლობა განისაზღვრება მათ ფუნქციონირებაში არსებული როგორც შინაგანი, ისე გარეგანი მიზეზებით, პირობებით. მცირე ფირმების წარუმატებლობა ყველაზე მეტად დაკავშირებულია მათი მესაკუთრეების მენეჯერული გამოუცდელობით, ანუ პროფესიული არაკომპეტენტურობით. აშშ-ში რეგულარულად მიმდინარე გამოკითხვების შედეგად დადგენილია, რომ მცირე ბიზნესის წარუმატებლობის მთავარ მიზეზად ყველაზე ხშირად ასახელებენ ბიზნესმენების არაკომპეტენტურობას, დაუბალანსებელ გამოცდილებას, (მაგალითად, გამოცდილი ინჟინერია, მაგრამ გამოუცდელი 19 კომერსანტი); როცა კომერციაში, ფინანსებში, მოწოდებებში წარმატებები აქვს, მაგრამ მართვაში გამოუცდელია; საქმიანი კონტაქტების დამყარებასა და განმტკიცებაში უუნაროა და ა.შ. მცირე ფირმების წარუმატებლობის (ბანკროტობის) სხვა მიზეზებია: ბიზნესის ხელმიშვებულობა, უყურადღებობა, აგრეთვე კატასტროფები, ხანძარი, ქურდობა, თაღლითობა და სხვ. მცირე ბიზნესის წარმატების შანსი იზრდება მისი მომწიფებისა და განვითარების შესაბამისად. ფირმები, რომლებიც დიდხანს არსებობენ ერთი მფლობელის ხელში, იღებენ უფრო მაღალ და სტაბილურ შემოსავალს, ვიდრე ის ფირმები, რომლებიც ხშირად იცვლიან მფლობელს. ამერიკული სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ – მცირე ფირმების მფლობელი ქალები უფრო წარმატებული არიან ბიზნესში, ვიდრე მამაკაცები.

კვლევების შედეგები ადასტურებს, რომ წარმატებებს აღწევნის მცირე ფორმები, რომლებიც ბევრს მუშაობენ, მაგრამ, ამავე დროს, არ გადადიან გონივრული აზრის საზღვრებს. მცირე ბიზნესის წარუმატებლობის მიზეზია, აგრეთვე მეწარმეთა დაბალი კვალიფიკაცია. მეწარმე, რომელმაც მცირე ფორმის გაძღოლაში უკვე დააგროვა გამოცდილება, როგორც წესი, უფრო წარმატებულია. თუ ფორმის მართვაში მონაწილეობს არა ერთი ადამიანი, არამედ მეწარმეთა გუნდი, რომელიც შედგება ორი, სამი და ოთხი ადამიანისაგან, გადარჩენის შანსი უფრო მაღალია, ვინაიდან გადაწყვეტილების კოლექტიური მიღება უფრო პროფესიონალურია, მცირე ფორმების სიცოცხლისუნარიანობაზე გავლენას ახდენს, ფორმის არსებობის პირველ ეტაპზე ფინანსირების სიდიდე, რაც უფრო მეტი საწყისი კაპიტალია დაბანდებული ფორმაში, მით მეტი შანსი აქვს მას შეინარჩუნოს თავისი საქმიანობა კრიზისულ პერიოდში. საზოგადოების მოთხოვნილებების მუდმივი ძიება და მათდამი უწყვეტი მორგება წარმოადგენს მცირე ბიზნესის სტრატეგიის საფუძველს.

ზოგიერთი დასავლელი სპეციალისტი მცირე ბიზნესს განიხილავს, როგორც ახალი პიროვნული ურთიერთობების სკოლას, მომავალში მეწარმეობის განვითარების ორგანიზაციის მეთოდებისა და პრინციპების გამოცდის პოლიგონს. მაგრამ, მრავალი საწარმოსაგან განსხვავებით, მცირე ბიზნესის მეურნეობრიობის ნაკლებად ხელსაყრელი პირობები განაპირობებენ მათ ნაკლებ სიმყარესა და ნაკლებ კონკურენტუნარიანობას, ამიტომ იგი საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ეს მხარდაჭერა ხორციელდება სახელმწიფო ცენტრალური და რეგიონული პროგრამების შესაბამისად. სამწუხაროდ, საქართველოში მცირე ბიზნესისადმი მხარდაჭერის სისტემა არ არსებობს. 5. მცირე ბიზნესის ადგილი ეროვნული ეკონომიკის აღწარმოების პროცესში ეროვნული ეკონომიკის აღწარმოების პროცესში მცირე ბიზნესის ადგილს განსაზღვრავს მის მიერ შერჩეული სტრატეგია. ბიზნესის სტრატეგია – ეს არის წესების ერთობლიობა, რომლის მიხედვითაც ყალიბდება საწარმოს დამოკიდებულება (ურთიერთობა) მის გარეთ არსებულ გარემოსთან, რომელიც განაპირობებს, თუ რა სახის პროდუქციასა და ტექნოლოგიას დაამუშავებს, სად და ვისთან

გაასაღებს თავის პროდუქციას, როგორ მიაღწევს უპირატესობას კონკურენტებთან ბრძოლაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თეთრუაშვილი მ. ქარდავა თ. თეთრუაშვილი ი. ფინანსური მენეჯმენტი, გორი, 2007.
2. მექვაბიშვილი ე. «ახალი ეკონომიკა» - გლობალიზაციის პროდუქტი და ფაქტორი. ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი. №1. თბ. 2008;
4. ქარდავა თ., თეთრუაშვილი ი., ორჯონიკიძე ნ., ბიზნეს-გეგმა: დამუშავების მეთოდიკა. გორი 2007.
5. ჯონსონი რ.ტ, ჯენიფერ მ. ჯორჯი. თანამედროვე მენეჯმენტის საფუძვლები, თბ. 2006.

აკაკურიძე ნათელა

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

მცირე ბიზნესის საწარმოთა ფუნქციონირების

თავისებურებები

რეზიუმე

ნაშრომში აღნიშნულია მცირე ბიზნესის საწარმოთა ფუნქციონირების მსხვილი კომპანიებისაგან განსხვავება არა იმდენად ჩამოთვლილი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით, რამდენადაც თვით ბიზნესის ორგანიზაციისადმი მიდგომის თავისებურებებით: - მცირე ბიზნესში პერსონალის მცირე რიცხოვნობის გამო სუსტად არის წარმოდგენილი შესასრულებელ ფუნქციათა სპეციალიზაცია. მცირე ბიზნესის საწარმოში შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა კადრების შერჩევის სისტემას, უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელთა რიცხვისა და კონტროლის სისტემის მოწყობას. ასევე, ნელი ტემპით ხორციელდება მცირე საწარმოს საშუალო ან მსხვილ საწარმოდ ტრანსფორმაციის პროცესი, ყალიბდება საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა.

Какауридзе Натела

академик Академии наук туризма Грузии

Особенности функционирования предприятий малого бизнеса

Резюме

В документе подчеркивается различие между крупными компаниями, работающими на предприятиях малого бизнеса, с не столько количественными и качественными показателями, сколько особенностями подхода к бизнес-организации: наименьшее количество персонала в малом бизнесе слабо представлено функциями, которые должны выполняться. Предприятия малого бизнеса относительно меньше внимания уделяют системе отбора персонала, количеству ключевых показателей и системе контроля. Кроме того, процесс трансформации в средние или крупные предприятия малых предприятий осуществляется медленными темпами с организационной структурой предприятия.

Kakauridze Natela

Academician of the Georgian Academy of Sciences of Tourism

Features of the functioning of small businesses

Summary

The paper emphasizes the difference between large companies operating in small business enterprises with not so much quantitative and qualitative indicators as the peculiarities of the approach to the business organization are: - The smallest number of personnel in the small business is poorly represented by the functions to be performed. Small business enterprise relatively less attention to the staff selection system, the number of key indicators and the control system. Also, the process of transformation into a medium or large enterprise of small enterprises is carried out at a slow pace, with an organizational structure of the enterprise.

ნინო კაშია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს საერთაშორისო გარემოსდაცვითი ვალდებულებები ევროკავშირის სამართლის წინაშე

გარემოს დაცვა ევროკავშირის სამართლისა და პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. „ევროპელებს აქვთ უფლება იცხოვრონ სუფთა და ჯანსაღ გარემოში“, აცხადებენ ევროპელი გარემოსდაცველები და ამ უფლებას ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს შორის მოიაზრებენ. ზოგადად კაცობრიობის წინაშე დღესდღეობით აქტიურად დგას საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს ბუნებრივი რესურსების იმგვარი გამოყენება, რომ ჯანსაღი გარემო იქნეს შენარჩუნებული. ამ აზრამდე ევროპელები სწორედ ბუნებრივი რესურსების გადაჭარბებული გამოყენებით და გარემოს დაბინძურებით გამოწვეულმა ბუნებრივმა კატაკლიზმებმა მიიყვანეს, რამაც გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე შეუქმნა. ამ პრობლემის გადაჭრისათვის ევროკავშირის ინსტიტუტების საქმიანობაში სამი მიმართულება იკვეთება – გარემოს თვისობრივი შენარჩუნება, დაცვა და გაუმჯობესება; ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა; ბუნებრივი რესურსების გონივრული და რაციონალური გამოყენება.

1973 წლიდან მოყოლებული მინისტრთა საბჭომ შემუშავა ხუთწლიანი სამოქმედო პროგრამების სერია, რომელმაც გარემოს დაბინძურების პრობლემისადმი სასწრაფო საპასუხო ქმედებებს საბოლოოდ გარემოსა და ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის საერთო სტრატეგიის ფორმა მისცა. ძირითად სფეროებში რაზეც გამახვილდა ყურადღება შედის: 1. წყლის დაბინძურება – ამ მხრივ ევროკავშირის მიერ დამტკიცებული იქნა მრავალი დირექტივა, რომელიც ეხება წყლის ყველა სახეობის დაცვას დაბინძურებისაგან. შემოღებული იქნა ხარისხის სტანდარტები, მკაცრად კონტროლდება წყალში ტოქსიკური ნივთიერებების ჩაღვრა. 2. **ატმოსფეროს დაბინძურება** – გარემოს დაბინძურების პირველწყარო, რაც ძირითადად ევროპის ინდუსტრიული

პროგრესით არის გამოწვეული. 1987 წელს მიღებული იქნა დირექტივების სერია ავტომობილების გამონაბოლქვის შემცირების შესახებ. **3. ხმაური** – ევროკომისიის მიერ მიღებული იქნა დირექტივები, რომლებიც ახდენენ ტრანსპორტის და სხვა ტექნიკის ხმაურის მაქსიმალური დონის დადგენას. **4. ქიმიური პროდუქტები და ნარჩენები** – 1977 წელს ჩრდილოეთ იტალიაში სევეზოს კატასტროფის შემდეგ გადადგმული იქნა უკიდურესი ნაბიჯები ქიმიური ნივთიერებების წარმოებით და გავრცელებით წარმოქმნილი რისკების შესამცირებლად. 1991 წელს მასტრიხტის სამიტზე მიღებული ევროკავშირის ხელშეკრულებით რომის ხელშეკრულებაში შეტანილი იქნა ახალი ნაწილი გარემოს დაცვის შესახებ. ასევე მნიშვნელოვანი იყო 1997 წლის ამსტერდამის ხელშეკრულება „გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესების და დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფის“ შესახებ.

ზემოთაღნიშნული დირექტივების შესრულება ევროკავშირის თითოეული წევრი ქვეყნის ვალდებულებაა. დღეისათვის საქართველოსთვის ევროპის კავშირის ერთ-ერთი მთავარი პარტნიორია. როგორც ცნობილია, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს 1996 წლის ლუქსემბურგის შეთანხმება, რაც უზრუნველყოფს ერთობლივი საქმიანობის პროგრამების შემუშავებასა და რეალიზებას. ამავე დროს გათვალისწინებულია ევროკავშირის სამართალთან ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობის დაახლოება. კერძოდ, შეთანხმების 43-ე მუხლის თანახმად საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ ევროკავშირის სამართლის ნორმებთან შესაბამისობაში მოიყვანოს ქვეყნის კანონმდებლობა 15 სხვადასხვა სფეროში. მათ შორისაა კლიმატის დაცვა. აღსანიშნავია, რომ დირექტივების მოთხოვნების შესრულებისას ეროვნული ინსტანციები ინარჩუნებენ დირექტივაში განსაზღვრული მიზნის ფორმისა და მეთოდის არჩევის კომპეტენციას. დირექტივამ კი უნდა განიცადოს წევრი სახელმწიფოს შიდა სამართალთან ტრანსფორმაცია განსაზღვრულ ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში კომისია ევროკავშირის სასამართლოს წინაშე აყენებს წევრი სახელმწიფოების პასუხისმგებლობის საკითხს. მაგალითად, ერთჯერადი ფულადი სანქციების დაკისრება.

წინამდებარე სტატიაში მდებარე დებულებების გასამყარებლად შეგვიძლია დავასახელოთ 2008 წლის დირექტივა (2008/98/EG), რომელიც ქმნის წევრი სახელმწიფოების მიერ ნარჩენების სფეროში კანონმდებლობის შექმნის სამართლებრივ ფარგლებს. ზემოთთქმულის შესაბამისად წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მისი რაციონალურ დონეზე რეალიზაცია. დირექტივა კი განსაზღვრავს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის ნარჩენებისაგან დაცვის ღონისძიებებს. დირექტივა წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს უზრუნველყონ იმ მეწარმეების მიერ შესაბამისი ნებართვის მოპოვების ვალდებულების დადგენა, რომლებსაც განზრახული აქვთ ნარჩენების გადამუშავება. ნებართვა უნდა შეიცავდეს ნარჩენების ოდენობასა და სახეს, ტექნიკურ მოთხოვნებს, რომელიც წაეყენება საქმიანობას ტერიტორიასთან მიმართებით. საქართველში მიღებულ ნარჩენების მართვის კოდექსში აღნიშნული მოთხოვნებია ტრანსფორმირებული. აღსანიშნავია აგრეთვე 2006/60/EG დირექტივა „წყლის პოლიტიკის სფეროში საქმიანობის ჩარჩოს შექმნის შესახებ“, რომელიც ადგენს წყლის ზედაპირზე წყლების წესრიგის ფარგლებს. დირექტივის მე-11 მუხლი ადგენს წევრი სახელმწიფოების ვალდებულებას წყლის ამოღების, ამოტუმბვის, ნივთიერებათა წყალში ჩაშვების და წყლების მორფოლოგიური ცვლილებებისათვის დაადგინოს ნებართვის გაცემის ვალდებულება. არსებობს აგრეთვე სახეობათა მრავალფეროვნების დაცვაში წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ბუნებრივი გარემოს, გარეული ცხოველებისა და მცენარეების შენარჩუნებისათვის მიღებული დირექტივა, რითაც უნდა იქნეს დაცული მათთვის ხელსაყრელი პირობები.

96/61/EG დირექტივა მიზნად ისახავს განსაზღვრულ საქმიანობებთან მიმართებაში გარემოს დაბინძურების თავიდან აცილებისა და შემცირების ინტეგრირებული კონცეფციის დანერგვას. ის ითვალისწინებს ჰაერში, წყალში და ნიადაგში მავნე ნივთიერებათა ემისიის თავიდან აცილებას.

დირექტივა ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, რათა მათი საწარმოები ისე მუშაობდეს, რომ არ იქნება გამოწვეული გარემოს მნიშ-

ვნელოვანი დაბინძურება; რომ ენერჯია ეფექტურად იქნება გამოყენებული; რომ გატარებული იქნება აუცილებელი ღონისძიებები უბედური შემთხვევების თავიდან აცილებისა და ლოკალიზაციის მიზნით და ა. შ. მოთხოვნები.

ამრიგად, დასკვნის სახით მინდა აღვნიშნო ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რაც ქვეყანას და მის მოქალაქეებს გააჩნიათ ევროკავშირის დირექტივების წინაშე და რომელიც მიმართული იქნება საერთო ზოგადსაკაცობრიო მიზნების მისაღწევად. ამავე დროს ცალკეულ საკითხებთან მიმართებაში მოხდება ევროკავშირის სამართლის ტრანსფორმაცია შიდა სამართლის ნორმებთან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პაპავა ი. ევროპის კავშირის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები, 2014 წ. თბილისი
2. ბითაძე მ. ადამიანის ეკონომიური უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების გავლენა ქართულ სამართალზე, 2008 წ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. ვინტერი გ. ტურავა, პ. ყალიჩავა კ. საქართველოს გარემოს დაცვის სამართლის ზოგადი ნორმების ანალიზი და შეფასება, თბილისი, 2012.

ნინო კაშია

აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**საქართველოს საერთაშორისო გარემოსდაცვითი ვალდებულებები
ევროკავშირის სამართლის წინაშე**

რ ე ზ ი უ მ ე

კაცობრიობის წინაშე აქტიურად დგას საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს ბუნებრივი რესურსების გამოყენება იმგვარად, რომ შენარჩუნებული იქნეს ჯანსაღი გარემო. ამ მიზნით ევროკავშირის ინსტიტუტების საქმიანობაში სამი მიმართულება იკვეთება: პირველი, გარემოს თვისობრივი შენარჩუნება, დაცვა და გაუმჯობესება; მეორე,

ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა; მესამე, ბუნებრივი რესურსების გონივრული და რაციონალური გამოყენება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წყლისა და ატმოსფეროს დაბინძურების პრობლემას, რომლის გადასაჭრელად ევროკავშირმა მრავალი დირექტივა მიიღო. მათი შესრულება კი თითოეული წევრი – სახელმწიფოს ვალდებულებაა. საქართველომ აიღო ვალდებულება, რათა ევროკავშირის სამართლის ნორმებთან შესაბამისობაში მოიყვანოს ქვეყნის კანონმდებლობა. მათ შორისაა კლიმატის დაცვა. ამასთან, ქვეყანა ინარჩუნებს დირექტივებში განსაზღვრული მიზნის ფორმისა და მეთოდის არჩევის კომპეტენციას.

Нино Кашия

Государственный университет Акакия Церетели

Международные экологические обязательства

Грузии перед законом ЕС

Резюме

Перед человечеством активно стоит вопрос о том, как должны использоваться природные ресурсы таким образом, чтобы поддерживалась здоровая окружающая среда. С этой целью в деятельности институтов Евросоюза выделяется три направления: первое, качественное сохранение окружающей среды, защита и улучшение; второе, защита здоровья человека; третье, резонное и рациональное использование природных ресурсов.

Особое внимание обращается проблеме загрязнения воды и атмосферы, для решения которых Евросоюз принял много директив. Исполнение которых обязательство всех стран членов союза. Грузия взяла обязательство, чтобы законодательство страны соответствовало правовым нормам Евросоюза. В том числе защита климата. При этом, страна сохраняет компетенцию выбора цели и методов переданных директиве.

Nino Kashia

Akaki Tsereteli University

Georgia's international environmental obligations before the EU law

Summary

There is active issue to the humankind about how to use natural resources and at the same time to keep healthy environment. For this purpose, there are three directions in the activities of European Union Institutions: First is quality maintenance, protection and improvement of the environment, second is the protection of human health, and the third is the reasonable and rational use of natural resources.

Special attention is paid to the problem of water and atmospheric pollution, which the EU has adopted for many directives. Them execute is obliged to each member state. Georgia has taken the obligation to become effective the country's legislation with the EU law norms. Among them are climate protection. At the same time the country keeps the goals determination and the competence for choosing method in the directives.

ვლადიმერ ნვირაპა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი

დარეჯან ბატონიშვილი (1756-1827)

საკვანძო სიტყვები: სოლომონ I; დარეჯან ბატონიშვილი; ქაი-
ხოსრო აბაშიძე; სოლომონ II; რუსეთის ცარიზმი; ივანე აბაშიძე; აკაკი
წერეთელი; ხახული აბაშიძე; ტორმასოვი; ერმალოვი.

1784 წლის 23 აპრილს მოულოდნელად გარდაიცვალა 49 წლის ასაკში იმერეთის მეფე სოლომონ პირველი იმერთა მეორე „აღმაშენებელი“. 17 წლის გამეფდა და 32 წელიწადი იღვაწა თავისი ქვეყნისათვის. დაკრძალულია გელათში, მთავარ ტაძარში.

სოლომონ პირველი სიცოცხლის ბოლომდე იბრძოდა გაპარტახებული იმერეთის აღდგენისათვის. მან აკრძალა ქართველებისათვის ყველაზე დიდი და სასტიკი ბოროტება - „ტყვეთა სყიდვა“. მრავალ ომში იმარჯვა, მტერთა სისხლი ნაკადულეზად ადინა, ალბათ ამიტომაც ქონდა ბეჭედზე წარწერა: „ლომებრ მყეფე, მტერთა სისხლ-მჩქეფე, იმერთ მეფე - სოლომონ“ (მ. გელიაშვილი, დარეჯან ბატონიშვილი, გვ. 22).

სამწუხაროდ სოლომონ პირველს ოპოზიციურად განწყობილმა ფეოდალებმა ვაჟი - მემკვიდრე ალექსანდრე აუჯანყეს და მამა-მეფისა და ეკლესიის ნებართვის გარეშე დააქორწინეს, სოლომონმა და ეკლესიამ ალექსანდრე შეაჩვენეს. მალე ალექსანდრე გონს მოეგო, მოინანია და მამის დამჯერე შეიქმნა, შერიგებიდან ალექსანდრე ბატონიშვილი მალე გარდაიცვალა. მიუხედავად სოლომონ პირველის სურვილისა, ეკლესიამ ალექსანდრე ბატონიშვილი გელათის მონასტერში არ დაკრძალა (რადგან იგი შეჩვენებული იყო ეკლესიის მიერ). უფლისწული ალექსანდრე დაკრძალეს გელათის მონასტრის გარეთ „ერთისა მღვდლისა წინ გაძლოლითა დაფლეს იგი გარეგან ეკლესიისა“ (მასალები ... გვ. 27). მეფის „ვედრება“, ნაკურთხ მიწაზე დასაფლავების შესახებ მაქსიმე კათალიკოსმა არ შეიწყნარა. (ნ. დადიანი, გვ. 179).

1756 წელს სოლომონ პირველს შეემინა ქალიშვილი, რომელსაც დარეჯანი დაარქვეს. იგი მამის ღირსეული შვილი გახლდათ. მან

თავისი დროის შესაფერისი განათლება მიიღო. თავი გამოიჩინა საოჯახო და სამეფო საქმეების ცოდნით. იგი სოლომონ პირველმა გაათხოვა ამაყ და ზვიად ქაიხოსრო აბაშიძეზე, რომელთაც სამშობლოს გაუზარდეს ღირსეული შვილები. თვითონ ქაიხოსრო და მისი ვაჟები იმერეთში რუსთა წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირნენ.

დარეჯან ბატონიშვილის ოჯახი ყველაზე ზვიადი და წარჩინებული იყო და რა თქმა უნდა რუსეთის იმპერიის საწინააღმდეგო ბრძოლებში პირველობას არავის დაუთმობდა. ამ ქალმა მართლაც ღირსეულად და ამაყად მიიტანა სამშობლოს სამსხვერპლოზე მთელი თავისი ოჯახი... და განა სხვაფრივ კი შეშვენოდა დარეჯან ბატონიშვილს, რომელიც დიდი და შესანიშნავის მეფის სოლომონ პირველის ასული იყო?... ნამდვილი მემკვიდრე, რომელსაც იმერეთის ბაგრატიონთა გაწყვეტილი ჯაჭვი უნდა გაეგრძელებინა. იყო დრო, როცა ეს ქალი ფიქრობდა (და მაშინ ალბათ სხვებსაც, ენათესავებოდა ეს ფიქრები), რომ სახელოვან მამას „სხვა ძე არ ესვა“ და „მარტოდენ მარტო ასული“ ჰყავდა, ესეც არ უნდა ჩავთვალოთ დიდ ჭირად, რადგან იმერთა ბაგრატიონების კარზედ იცოდნენ, რომ „ლეკვი ლომისა სწორი“ იყო (თ. პაპავა, დიდი სახეები..., გვ. 214).

უნდა ვიფიქროთ, რომ იმ უცნაურ ამბებს, რომელსაც ამ ქალის ქმარი, ზვიადი თავადი ქაიხოსრო აბაშიძე სწადიოდა, საფუძვლად დარეჯანის ეს „მემკვიდრეობა“, ედო სოლომონ პირველის გვირგვინისა... (თ. პაპავა, იქვე). ამით აიხსნება, რომ ქაიხოსრო თავის თავს იმერეთის ტახტის პრეტენდენტთა რიცხვს უმატებდა და სოლომონ მეორის და ხან დავით გიორგის ძის წინააღმდეგ იბრძვის.

ქაიხოსრო აბაშიძემ ვერ შეძლო იმერეთში გამეფება. მან თავისი საქმიანობით სოლომონ მეორეს რისხვა დაიმსახურა და ოსმალეთში გაიხიზნა, სადაც ჯერ სულთანმა მუსტაფამ, ხოლო შემდეგ სულთანმა ჰამიდმა მას პენსია დაუნიშნეს. ბოლოს იგი ბრუნება საქართველოში, კონკრეტულად როდის არ ვიცით, მაგრამ სოლომონ მეორემ მას მამულები დაუბრუნა. იგი სოლომონის გვერდით არის და რუსეთის ცარიზმს ებრძვის. 1810 წელს ქაიხოსრო აბაშიძე და მისი ოჯახი რუსეთის საწინააღმდეგო მოძრაობაში ერთვება. მისი მამული - ზედა საქარა -

წარმოადგენდა აჯანყებულთა თავშესაფარს და ერთ-ერთ ცენტრს (მ. ბერძნიშვილი, მასალები ..., გვ. 98).

როგორც ვიცით, 1810 წლის 9 მაისს მთავარმართებელმა ტორ-მასოვმა მოტყუებით შეიპყრო იმერეთის მეფე სოლომონ მეორე. მეფის ერთგულმა ხალხმა იგი თბილისიდან გამოაპარა. იმერეთში დაიწყო აჯანყება რუსული მმართველობის წინააღმდეგ. პირველი აჯანყებას დარეჯან დედოფალი და მისი ოჯახი გამოეხმაურა. ქაიხოსრო აბაშიძემ მიზნად დაისახა ქართლიდან გადმოყვანილი რუსთა ნაწილები არ შეერთებოდა ქუთაისში მდგომ ნაწილებს. მან ეს ამოცანა თავდაპირველად შეასრულა, მაგრამ 1810 წლის 25 ივლისს ცხრაწყაროს ეკლესიასთან გამართულ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა. დარეჯან ბატონიშვილმა ახლა ბრძოლების სიმძიმე შვილებზე გადაიტანა და ეს 60 წლის მოხუცი ერთი წუთითაც არ შედრკა, როცა მას რუსეთის მხედრობამ საყვარელი ქმრის კუბო წინ დაუსვენა. ეხლა მამისა და მისი რაზმის საქმეს დარეჯანის უფროსი ვაჟი - ხახული - აგრძელებს და მრავალრიცხოვან მტერს არაერთხელ ამარცხებს. განსაკუთრებით აჯანყებულებისათვის გამამხნეველი იყო ხახულის მიერ მაიორ კალატოზოვის მოკვლა და მისი რაზმის გაჟლეტა.

სიმონოვიჩი, რომელიც რუსთა ძალების მეთაურია იმერეთში, იცის რომ სოლომონ მეორის მარჯვენა ხელი ხახული აბაშიძეა, ამიტომ იგი მთელი თავისი ძალებით ზემო საქარას უტევეს და ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ აიღო სოფელი. 26 აგვისტოს 1810 წლისა ხახული აბაშიძეც გულგანგმირული დაეცა ბრძოლის ველზე (თ. პაპავა, გვ. 216). ესეც არ აკმარა ბედისწერამ დარეჯან ბატონიშვილს, მისი მომდევნო ვაჟი სიმონიც შეიწირა ამ უთანასწორო ბრძოლაში. დარეჯან ბატონიშვილს ბოლო ნაბოლარა ვაჟი ივანე შემორჩა სასწაულებრივად და ისიც მომავალი ბრძოლებისათვის შემოუნახა უფალმა დარეჯან დედოფალს.

იმერეთის, 1810-1820 წლების აჯანყების ერთ-ერთი მეთაურთაგანი გახლდათ დარეჯან დედოფლის უმცროსი ვაჟი ივანე აბაშიძე. იგი თავის მამულში იმყოფებოდა აჯანყების დაწყებისას. აჯანყებულებს მეფობის სხვა კანდიდატებთან ერთად ივანე აბაშიძეც ჰყავდათ დასახე-

ლებული, როგორც სოლომონ პირველის შვილიშვილი. რუსეთის ხელისუფლებამ, როცა აჯანყების მეთაურები დაიჭირა, მათ შორის მონდომეს ვერაგულად შეეპყროთ ივანე აბაშიძეც და იგი რუსეთში გადაესახლებინათ. ივანე აბაშიძემ მოახერხა გაქცევა და თავი გურიას შეაფარა თავის ცოლისძმს. მეფის მოხელეებმა კი ივანეს ოჯახი შეიპყრეს დარეჯან ბატონიშვილთან ერთად. ივანემ გურიიდან მოახერხა გაქცევა და თავი ოსმალეთს შეაფარა. მეფის ხელისუფლებამ 1822 წელს ივანე აბაშიძეს მკვლელები მიუგზავნა და ის ახალციხეში მოკლეს.

დარეჯან დედოფალი ივანეს ოჯახთან ერთად დაატყვევეს და ტფილისში მოათავსეს დროებით, რომ შემდეგ რუსეთში გადაესახლებინა შესაფერისი მომენტის დროს. მას თბილისში მიუჩინეს ფარული თუ აშკარა მეთვალყურეები. მთავარმართებელი სწერდა რუსეთში იმპერატორს, რომ მან დარეჯანს 50 მანეთი დაუნიშნა თავის სარჩენად თვეში და თუ რაიმე საეჭვო იქნა შემჩნეული იმწუთასვე გადაასახლებდა რუსეთში.

გურიის მთავარმა მამიამ თხოვა რუსეთის ხელისუფალთ დარეჯან ბატონიშვილსა და ივანე აბაშიძის ოჯახის განთავისუფლება მისი მეთვალყურეობისა და პასუხისმგებლობის ქვეშ, რადგან ივანე აბაშიძის მეუღლე მისი და გახლდათ. გურიის მთავარს თხოვნა შეუსრულეს, ივანეს ოჯახი გურიაში დააბრუნეს, გარდა დარეჯან ბატონიშვილისა და ივანეს ვაჟის გიორგისა, რომელიც ბეზიას მოაშორეს რუსეთში და პეტერბურგში საობლო სასწავლებელში მიაბარეს აღსაზრდელად. დარეჯან ბატონიშვილი ჯერ პენზაში გადაასახლეს, ხოლო შემდეგ მოსკოვში. მას იმდენად მცირე პენსია დაუნიშნეს, რომ პენზიის გუბერნატორი თხოვდა ერმალოვს მოემატებინა პენსია, მაგრამ უშედეგოდ.

დარეჯან ბატონიშვილი გარდაიცვალა მოსკოვში 1827 წლის 25 იანვარს, დასაფლავებულია იონას სახელობის ეკლესიაში (მ. ბერძნიშვილი, გვ. 92).

აკაკი წერეთლის სიტყვებით, რომელიც ივანე აბაშიძის ქალიშვილის ეკატერინეს ვაჟი იყო, სოლომონ I-ის ქალს დარეჯან ბატონიშვილს უწერია ლექსები, მაგალითად ძილისპირები და საგალობლები ლექსად. ჩვენამდე მოსულა მისი „ანბანთქება“ და „ღვთისმშობლის შესხმა“.

მასვე მიაწერენ მრისხანე სატირას თეაფილაქტეზე „გახსენება“ (მ. ბერმნიშვილი, იქვე).

ივანე აბაშიძესა და დარეჯან ბატონიშვილს რუსეთის ხელისუფლებამ მამულები ჩამოართვეს. ქუთაისში ოქროს ჩარდახთან ახლოს დარეჯან ბატონიშვილს სახლი ჰქონდა, რომელიც რუსეთის ხელისუფლებამ აღწერა და ხაზინას გადასცა (ი. ჭეიშვილი, დარეჯან ..., გვ. 227). ეს სახლი რუსეთის ხელისუფლებას სჭირდებოდა ქუთაისში ჩამოსული სტუმრებისა და ჩინოვნიკების სასტუმროდ. დარეჯან ბატონიშვილს აქვე ჰქონდა კარგად მოვლილი ბაღი. შემდეგ ამ ბაღს ქუთაისის მმართველმა გორჩაკოვმა მიუმატა ახალი ხეხილი და ყვავილები, გარჩაკოვის ქუთაისიდან წასვლის შემდეგ ეს ბაღი გადაეცა ხაზინას იმ პირობით, რომ ისინი მოუვლიდნენ მას, 1848 წელს ეს ბაღი ბულვარად გადაკეთდა. წელს ჩვენს ბულვარს უსრულდება 170 წლის იუბილე. იმედია ქალაქის ხელისუფლება მას სათანადოდ მოუვლის და აღნიშნავს ამ სახალხო დღესასწაულს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. ბერმნიშვილი, 1980 - მ. ბერმნიშვილი. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, თბ., 1980
2. თ. პაპავა, 1990 - თ. პაპავა, დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში, თბ., 1990
3. ი. ჭეიშვილი, 1924 - ი. ჭეიშვილი, დარეჯან ბატონიშვილის სახლი ქუთაისში, საისტორიო მოამბე, წიგ. I, თბ., 1924
4. ნ. დადიანი, 1962 - ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962
5. მ. გელიაშვილი, 2004 - მ. გელიაშვილი, დარეჯან ბატონიშვილი - იმერეთის დიდი მეფის სოლომონ I-ის ასული. „ქალთა გაზეთი“, № 6, 2004, გვ. 22

ვლადიმერ წვერავა
პროფესორი

დარეჯან ბატონიშვილი (1756-1827)

იმერეთის მეფე სოლომონ პირველის გარდაცვალების შემდეგ, 1784 წლის 23 აპრილს დიდი ფეოდალებსა და ეკლესიას შორის დავის საგანი გახდა თუ ვინ უნდა ასულიყო იმერეთის სამეფო ტახტზე, რადგან სოლომონ პირველის ვაჟი, ალექსანდრე, 1780 წელს გარდაიცვალა. სამეფო კანდიდატებს შორის ღირსეულად განიხილებოდა სოლომონ პირველის ქალიშვილი დარეჯან ბატონიშვილი, საბოლოოდ იმერეთში 1790 წლიდან მეფე გახდა სოლომონ II.

დარეჯანის მეუღლე გახლდათ ზვიადი და ამაყი ქაიხოსრო აბაშიძე. როცა 1810 წელს რუსეთმა გააუქმა იმერეთის სამეფო, დარეჯან ბატონიშვილის ოჯახი ერთ-ერთი პირველთაგანი გახლდათ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. დარეჯან ბატონიშვილს ჯერ მეუღლე ქაიხოსრო, შემდეგ შვილები ხახული და სვიმონი მოუკლეს უთანასწორო ბრძოლაში. უმცროსი შვილი ივანე 1819-1820 წლების იმერეთის აჯანყების ერთ-ერთი მეთაურთაგანი გახლდათ. რუსეთის ხელისუფლებამ აჯანყების მეთაურნი შეიპყრო, მათ შორის ივანე აბაშიძის ოჯახი და დარეჯან დედოფალიც. თვით ივანემ ახალციხეში გაასწრო. დარეჯან დედოფალი გადაასახლეს ჯერ პენზაში, ბოლოს კი მოსკოვში, სადაც 1827 წელს გარდაიცვალა. იგი იქვე დაასაფლავეს იონას სახლობის ეკლესიაში.

Владимир Цверва
профессор

Дареджан Батонишвили (1756-1827)

После смерти Соломона I, 23 Апреля 1784 года, предметом ссоры между великими феодалами и церковью стал вопрос о том, кто мог вступить на престол Имеретинского царства потому, что сын Соломона I, Александр умер 1780 году. Между кандидатами, более достойным,

рассматривалась дочка Соломона I Царевна Дареджан. В конце концов, царем Имеретии стал Соломон I.

Мужем Дареджана был высокомерный и гордый Каихосро Абашидзе. Когда в 1810 году, Россия упразднила Имеретинское царство, один из первых в борьбу против них, включилась семья Дареджана. У нее в неравном бою, сначала убили мужа Каихосро, а потом сыновей Хахули и Свимона. Младший сын Иван в последствии, стал одним из руководителей Имеретинского восстания 1819-1820 годов. Правительство России, арестовало руководителей восстания, в том числе и семью Ивана Абашидзе и Дареджана, а сам Иван успел сбежать в Ахалцихе. Царевну сперва сослали в Пензу, а потом в Москву, где и умерла в 1827 году. Ее похоронили там же в церкви имени Иоанна.

Vladimer Tsverava

professor

Darejan Batonishvili (1756-1827)

After the death of Imereti King Solomon I, it started an argument between the great feudal and the church who would become the king. As King Solomon's son Aleksandre died in 1780. Solomon's daughter were among the royal candidates. Finally, Solomon II became the king in Imereti in 1790.

Darejan's husbands were Zviadi and proud Kaikhosro Abashidze. When Russia abolished the Imereti Kingdom in 1810, Darejan Batonishvili's family was the first who fight against Russia.

Darejan Batonishvili's husband and then children were killed in the unequal struggle with Russians, and the youngest son Ivan was one of the leader of the rebellion in 1819-1820 s. The Russian authorities exiled Ivane Abashidze's family and Darejan Batonishvili in Russia. But Ivane managed to escape to Akhaltsikhe. Quenn Darejan was first exiled in Penza and Finally in Moscow, where she died in 1827 and was buried in the Iona church.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შორენა სიხარულიძე, ლიანა ლორია – ასტრალური სიმბოლიკა „ვეფხისტყაოსანში“	5
ლიანა ლორია – გლობალიზაცია და შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“	10
ქეთევან ჯანელიძე – ლათინური ენის საერთაშორისო სტატუსი	15
ომარ ცხადაძე – აღზრდის ზოგიერთი საკითხი ვასილ სუხომლინსკის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში	20
თეიმურაზ გიორგაძე – მოზაიკური რიცხვები	25
ნათელა კაკაურიძე – სახელმწიფოს როლი ბიზნესის გარემოს ჩამოყალიბებაში	31
მარინა კაკაურიძე – მენეჯმენტი, როგორც მართვის მეცნიერება და ხელოვნება	37
ნათელა კაკაურიძე – მცირე ბიზნესის საწარმოთა ფუნქციონირების თავისებურებები	45
ნინო კაშია – საქართველოს საერთაშორისო გარემოსდაცვითი ვალდებულებები ევროკავშირის სამართლის წინაშე	53
ვლადიმერ წვერავა – დარეჯან ბატონიშვილი (1756-1827)	59

С о д е р ж а н и е

Шорена Сихарулидзе, Лиана Лория - Астралитические символы в „Витязе в тигровой шкуре“	5
Лиана Лория – Глобализация и поэма Шота Руставели „Витязь в тигровой шкуре“	10
Кетеван Джanelidze – международный статус латинского языка	15
Омар Цхададзе – Некоторые вопросы воспитания в педагогическом наследии Василия Сухомлинского	20

Теимураз Гиоргадзе – Мозаические числа	25
Натела Какауридзе – Роль государства в формировании бизнес среды	31
Марина Какауридзе – Менеджмент как наука и творчество управления	37
Натела Какауридзе - Особенности функционирования предприятий малого бизнеса	45
Нино Кашия – Международные экологические обязательства Грузии перед законом ЕС	53
Владимир Цверав – Дареджан Батонишвили (1756-1827)	59

C o n t e n t s

Shorena Sikharulidze, Liana Loria - The astralitic symbol in "The Knight in the Panther's Skin"	5
Liana Loria – Globalization and thr poem of the Shot Rustveli “Vityaz in tiger skin”	10
Ketevan Janelidze – Intrnational statusI Latin	15
Omar Tskhadadze - Some issues of education in the pedagogical heritage of Vasily Sukhomlinsky	20
Teimuraz Giorgadze - Mosaic Numbers	25
Natela Kakauridze - The role of the state in the formation of the business environment	31
Marina Kakauridze - Management as a science and creativity of management	37
Kakauridze Natela -Features of the functioning of small businesses	45
Nino Kashia - Georgia's international environmental obligations before the EU law	53
Vladimer Tsverava – Darejan Batonishvili (1756-1827)	59

ჟურნალი გამოდის წელიწადში ოთხჯერ

Журнал выходит четыре раза в год

Journal out four times a year

მისამართი: მ.კოსტავას ქ. № 1, ქუთაისი, 4600, საქართველო; ტ: 551 60 85
60; 571 45 11 45

Адр: ул. М.Костава № 1, Кутаиси, 4600, Грузия; Т: 551 60 85 60; 571 45 11 45

Address: st. M.Kostava № 1, Kutaisi 4600, Georgia; T: 551 60 85 60; 571 45 11 45

E-mail akadtour@gmail.com www.acaduni.edu.ge



დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს "მირანის" მიერ
ქუთაისი, ცისფერყანელთა ქ. №6
ტელ: 0431 24 68 40